ალია

N164/3094/ 7 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

# რას აპირებენ სასულიერო პირები 15 ნოემბერს?

## ბიძინა ივანიშვილი: „აი, ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, როგორ მოვიგეთ 2012 წელს არჩევნები, მე ბევრ რამეს არ ვამბობ“

„დღეს ივანიშვილზე აგდებულად ილაპარაკო და პირდაპირ მიახალო, შენთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარო, რბილად რომ ვთქვა, არასწორია... არ არის ის კაცი, ყველაფერი თვითონ დაიბრალოს და შენ იქით „მიგაჩმოროს“, მაგრამ თვითონ ხომ უნდა ხვდებოდე ამდენს და უმადური ხომ არ უნდა იყო?“



თუკი ეს ხელისუფლება ცილისმწამებელი, მატყუარა და თავხედია, რაღას ელოდებიან? რატომ არ იწყებენ მის შესაცვლელად ბრძოლას?

თუ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დანაშაულს აფარებს ხელს, რაღა გინდა მაგნაირ პარტიასთან?

ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებასა და დიდ ღალატს

ორივე შემთხვევაში, ეს არის დანაშაული!.. ერთიც და მეორე მხარეც რაღაცას გვიმალავთ!..

## რამაზ საყვარელიძე: „სიტუაციამ უკვე ისეთი სიმწვავე მიიღო, რომ ყველა მხარემ უკან დასახევი გზა მოუჭრა ერთმანეთს“

რატომ შეხვდა ალასანია ევროკავშირის ელჩს და რა მოხდება, თუკი ის გამართლდება?

4 ნოემბერს, სანამ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ირაკლი ალასანია პროვოკაციულ განცხადებას გააკეთებდა, მას „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში ელოდებოდნენ, თანაგუნდელებთან ერთად, სადაც შეკრებილები იყვნენ პარლამენტარები და მინისტრები. რა თქმა უნდა, იქ იყო პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და რაც მთავარია, იქ იყო ბიძინა ივანიშვილი. იმის ნაცვლად, რომ ირაკლი ალასანია კოალიციის შეკრებაზე მისულიყო და იმ ადამიანებს დალაპარაკებოდა, რომლებმაც კაცად აქციეს, სკანდალური ბრიფინგი გამა-

– ჩვენ კარგად ვხედავთ, ევროპული ქვეყნების ყოფილი მინისტრები თუ ყოფილი პრემიერ-მინისტრები როგორ არიან ჩართულები პოლიტიკაში და საქართველოს საშინაო საქმეებშიც კი ერევიან. ვერ გავიგე, კაცს, რომელმაც შექმნა კოალიცია და ქვეყანა გამოსტაცა სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, რა არგუმენტით უნდა აუკრძალო კოალიციის შეხვედრაზე მოსვლა? ივანიშვილი გადაწყვეტილებების მიმღები არ არის, მაგრამ ძალიან ცუდი იქნებოდა, ასეთ ფრთხეშიაო, ვის ესიამოვნება? სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა ისე ახსნა სიტუაცია, იქ კითხვის ნიშნები თითქმის აღარ დარჩა. ახლა იძახიან, ქვეყანამ კურსი შეიცვალაო, თავდაცვის სამინისტროში მაღალჩინოსნები რომ არ დაეკავებინათ, კურსს არ ვიცვლიდით? პროკურატურა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური წნეხისგან და ამაზე შეხვედრაზეც ითქვა, არის რაღაც ნიუანსები, რაც მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის მოწამლული. ამაზე თქვა ბატონმა ბიძინამ, რა გახდა ამ სისტემის მოწესრიგება, რატომ იწამლება ხალხი პანტაპუნტითო? იქვე გაკეთდა შედარება, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სამინისტროში ეს საკითხი მოგვარდა, თავდაცვაში რა უბედურება ხდებაო?

**— დათო, ერთი რამე მითხარი გულახდილად: სანამ ირაკლი ალასანია განცხადებას გააკეთებდა, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს როგორი განწყობა ჰქონდათ, აგრესიულები ხომ არ იყვნენ, მის გადაყენებას** ბა საბოლოოდ, ვინ გავა, ვინ შემოგვიერთდება და გვექნება ახალი კონფიგურაცია. ამ დროისთვის უკვე აღარ არსებობს საშიშროება, რომ უმრავლესობა დაიშლება.

**— თუმცა საშიშროებას „რესპუბლიკელებში“ მაინც ხედავენ, მათ ირაკლი ალასანიას სოლიდარობა გამოუცხადეს და მეორეც — როცა ღარიბაშვილმა ალასანიას ავანტიურისტი უწოდა, თინა ხიდაშელმა ქოში უკულმა ყარა, ასეთი მეგობრები მე არ მყავსო.**

– არც მაგათ წერილზე გვქონია საუბარი და არც სოლიდარობაზე,

# ბიძინა ივანიშვილი: „აი, ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, როგორ მოვიგეთ 2012 წელს არჩევნები, მე ბევრ რამეს არ ვამბობ“

**„დღეს ივანიშვილზე აგდებულად ილაპარაკო და პირდაპირ მიახალო, შენთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარო, რბილად რომ ვთქვა, არასწორია... არ არის ის კაცი, ყველაფერი თვითონ დაიბრალოს და შენ იქით „მიგაჩმოროს“, მაგრამ თვითონ ხომ უნდა ხვდებოდე ამდენს და უმადური ხომ არ უნდა იყო?“**

რთა დევიზით: „თუ არა მე, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, დასავლური კურსი საფრთხეშია, რუსები მოდიან!“ პოლიტსაბჭო 5 ნოემბერსაც გაგრძელდა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა ბიძინა ივანიშვილის საუბარი კოალიციის წევრებთან:

„აი, ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, როგორ მოვიგეთ 2012 წელს არჩევნები, მე ბევრ რამეს არ ვამბობ. არჩევნებამდე გპირდებოდით, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდით, ახლაც გაძლევთ გარანტიას, რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ყველაფერი დალაგდება, მე დავალაგებ“.

რას ნიშნავს, ბევრ რამეს კიდევ არ ვამბობ, რა საიდუმლოებითაა მოცული 2012 წლის არჩევნები, რა საიდუმლო დევს კოალიციის გამარჯვებაში? რას ნიშნავს, მე ყველაფერს დავალაგებ და ყველაფერი კარგად იქნება? შეხვედრის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ეს უბრალოდ რიტორიკული დაპირებაა და ბიძინა ივანიშვილი შეეცდება, გარედან დაეხმაროს მთავრობას, ანუ ირაკლი ღარიბაშვილს, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, ის უახლოეს ხანში ხელისუფლებაში დაბრუნდება და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

რა ხდებოდა ამ შეხვედრაზე, დეტალურად რაზე იყო საუბარი, ამის შესახებ „ალიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, **დათო ლორთქიფანიძე** ესაუბრება:

**— დათო, რაკი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა, ბევრს ჰგონია, რომ ის აღარსად აღარ უნდა გამოჩნდეს. როგორც კულუარებიდან ვიცი, კოალიციის წევრებიდან ზოგიერთს მისი ხილვა არ ესიამოვნა, ხოლო ზოგიერთს გაუკვირდა. პრინციპში, ასეც უნდა ყოფილიყო, მანამდე ბიძინას სანახავად სულ რიგში იდგნენ და ახლა ეხამუშათ, ურიგოდ რომ წარდგნენ მის წინაშე.**




დროს საერთოდ რომ არ გამოჩენილიყო და სატელეფონო საუბრებით დაკმაყოფილებულიყო. პრემიერ-მინისტრმა ილაპარაკა შექმნილ პრობლემაზე და ის ცდილობდა, ყველაფერი მოლაპარაკებებით მოეგვარებინა. 4-ში ჩვენი სხდომა დანიშნული იყო საღამოს 6 საათზე, „თავისუფალ დემოკრატებსაც“ ველოდებოდით, მაგრამ უცებ დააანონსეს, ზუსტად 6 საათზე საგანგებო ბრიფინგს ვმართავთო. ჩვენთან დარბაზში დაამონტაჟეს მონიტორი და იქ ერთად მოვისმინეთ ყველამ ირაკლი ალასანიას განცხადება.

**— მაგ დროს ბიძინა ივანიშვილიც თქვენთან ერთად იყო?**

– კი, ჩვენთან ერთად უყურებდა ალასანიას გამოსვლას.

**— და როგორი რეაქცია ჰქონდა?**

– ყველას დაგვწყდა გული და ბუნებრივია, ბატონ ბიძინასაც. მიუხედავად ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებისა, მისგან ასეთ განცხადებას მაინც არ ველოდით. რეაქცია იყო უარყოფითი. როდესაც გამოდიხარ და ამტკიცებ, საქართველოს ევროპული კურსი სა-

სამინისტროს შორის შეუსაბამობას იწვევს. ჩვენ შევთანხმდით, რომ პარლამენტში უახლოეს ხანში შემოვა ცვლილებების პაკეტი.

**— ბიძინა ივანიშვილთან სასა- მართლოზე არ ყოფილა საუბარი?**

– არა, უმეტესად საუბარი იყო იმაზე, რატომ მივედით ამ მდგომარეობამდე.

**— მერე რა დაასკვენით, რატომ მივიდა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე?**

– სხვათა შორის, ბატონმა ბიძინამ გაიხსენა, მთავრობის სხდომების ოქმები ამოიღეთ, ჯარისკაცების მოწამლვის ფაქტზე საკითხი მე დავაყენე და პროკურატურამ ამის შემდეგ დაიწყო გამოძიებაო.

**— ესე იგი, ამ ფაქტზე ბიძინა ივანიშვილის დავალებით დაიწყო გამოძიება? სხვათა შორის, 2013 წლის ივლისში მე თვითონ ვწერდი „ალიაში“ მოწამლვის ფაქტებზე. მაშინ თავდაცვის სამინისტრო თავს იგიჟებდა, სიცრუეს წერო.**

– კი, თვითონ ასე თქვა, მე დავაყენე ეს საკითხიო. ეს არ არის სიცრუე, 700 კაცზე მეტი ყოფილა

**ისედაც ხომ არ გეგმავდნენ? ასეთი განცხადება რომ არ გაეკეთებინა, დატოვებდნენ თანამდებობაზე?**

– როგორც მე დავინახე, 6 საათამდე მისი გადაყენება არ იყო დაგეგმილი, პრემიერს არ ჰქონდა საამისო განწყობა, არ აპირებდა ასეთი რადიკალური ზომების მიღებას. ის ელოდებოდა ალასანიას მოსვლას. როცა ასეთი განცხადება გაკეთდა, მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. ალასანიამ თვითონ დააჩქარა პროცესი.

**— პარლამენტში რა ხდება? როგორც გავიგეთ, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებიდან ორმა უკვე უარი თქვა კოალიციიდან გასვლაზე — თამაზ ჯაფარიძემ და გელა სამხარაულმა, სხვებიც ხომ არ აპირებენ დარჩენას?**

– ჩვენ ვიყავით 83 დეპუტატი, დღეის მდგომარეობით დავრჩით 73, თუ 3 კაცი არ გავა, მაშინ ვიქნებით 76 და ვინარჩუნებთ უმრავლესობას. ესეც რომ არ იყოს, უმრავლესობა არ დაიშლება, იქ არიან დამოუკიდებელი დეპუტატებიც.

**— კონკრეტულად რომელ დამოუკიდებელ დეპუტატებზეა ლაპარაკი?**

– თავის დროზე რამდენიმე დეპუტატი წამოვიდა „ნაცმოძრაობიდან“ და გადმოსვლა უნდოდათ კოალიციაში. მერე გაჩერდნენ, მაგრამ რაკი დღეს ასეთი მოცემულობა გვაქვს, საკითხი განახლდა. ვერ გაიგებ, ზოგი პირადი ინტერესებიდან გამოდის, ზოგი – სახელმწიფო ინტერესებიდან. ყოველ შემთხვევაში, მათ აწყობთ, რომ დღეს უმრავლესობაში გაერთიანდნენ. ალბათ, ყველაფერს თავისი სახელი 12 ნოემბერს, ოთხშაბათს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დაერქმევა. იქ გადაწყდე-

მარტო ის ვიცით, რომ კოალიციაში რჩებიან. რაც ხდება, ძალიან საწყენია, მე მახსოვს, როგორ ზრუნავდა ყველაზე ბიძინა ივანიშვილი და ახლა ასეთი განცხადებებით თვითონვე ზარალდებიან. დღეს ივანიშვილზე აგდებულად ილაპარაკო და პირდაპირ მიახალო, შენთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარო, რბილად რომ ვთქვა, არასწორია. ასეთი საქციელი არც პოლიტიკურად არის მომგებიანი და არც ადამიანურად. თუ კაცს მადლიერების გრძნობა გაქვს გამქრალი, დანარჩენზე ლაპარაკი ზედმეტია. მე ერთხელ ცოტა თავმდაბალი პოზიცია დავიკავე ბიძინა ივანიშვილთან, მის როლს გავუსვი ხაზი და პირდაპირ მითხრა: ასე ნუ ამბობ, შენ შენი როლი შეასრულე ამ საქმეშიო. არ არის ის კაცი, ყველაფერი თვითონ დაიბრალოს და შენ იქით „მიგაჩმოროს“, მაგრამ თვითონ ხომ უნდა ხვდებოდე ამდენს და უმადური ხომ არ უნდა იყო? დღეს ვიღაცას უნდა, რომ ამ ადამიანის წვლილი საერთოდ გააქროს და იმასაც კი ამბობს, მე მასთან სალაპარაკოდ არ მივსულვარო. ვითომ რატომ? შეიძლება შენ ნაწყენი ხარ, მაგრამ რაღაცაზე მაღლა ხომ უნდა დადგე?

**— როგორ ფიქრობ, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი „ცხელ წერტილებში“ გამოჩნდა და აქტიურად ჩაერთო საქმეში, ასევე მისი საუბრებიდან გამომდინარე, ხომ არ ბრუნდება პოლიტიკაში?**

– არ ვიცი, მაგაზე როგორ გიპასუხო? ეგ მისი გადასაწყვეტია. შემიძლია გითხრა, რომ ჯანმრთელადაა, კარგად გამოიყურება და არ ნერვიულობს.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ალასანია პრემიერის მიერ დაანონსებულ სიურპრიზებს პასუხობს



თავდაცვის ყოფილი მინისტრი პრემიერის განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, ირაკლი ალასანიას შესახებ საზოგადოებას „ბევრი სიურპრიზი ელოდება“.

„რაც უნდათ, ის აკეთონ, პროკურატურას ბოლო დროს მუქარის გარდა არაფერი გაუკეთებია, ვერანაირად ვერ შეაჩერებს „თავისუფალი დემოკრატების“ გეგმებს. „თავისუფალი დემოკრატები“ 8 ნოემბერს ვატარებთ ყრილობას. ყველას, ვისაც სურვილი აქვს, მობრძანდეს, მოვუწოდებ, რომ დაესწროს ამ ყრილობას. ეს იქნება ახალი პოლიტიკური ერის დასაწყისი, იმიტომ, რომ დაიწყება პოლიტიკაში ხალხის დაჯგუფება ღირებულებების ირგვლივ და არა ვიღაცა ვიღაცის წინააღმდეგ“, – აცხადებს ექსმინისტრი.

ცნობისთვის: ირაკლი ღარიბაშვილის თქმით: „მას ეს არაერთხელ გაუკეთებია. ამას ძალიან კარგად დაინახავს მოსახლეობა, ბევრ სიურპრიზს ნახავს. ეს არის ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები. მათი განცხადებები არის „ნაციონალური მოძრაობის“ სტილის სიცრუე, რაც დამაზიანებელია ჩვენი ქვეყნისთვის“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ევროპულ კურსს საფრთხეს მინისტრების გადადგომები უქმნის“



პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით:

„ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ქვეყნის განვითარების კურსი რჩება უცვლელი... თუ რამე საფრთხე შეექმნა ამის აღსრულებას, ეს არის ბოლო დღეებში ამ მიმართულების წამყვანი მინისტრების მიერ თანამდებობების დატოვება სხვადასხვა მიზეზით და ამან, რა თქმა უნდა, შექმნა პრობლემები ამ კურსის აღსრულების მიმართულებით, რადგან წამყვანი სამინისტროები გარკვეული დროის განმავლობაში აღმოჩნდა ხელმძღვანელების გარეშე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე ამ თანამდებობებს დაიკავებენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და პოლიტიკური ხედვის ადამიანები და ქვეყანა განაგრძობს ევროინტეგრაციას, მათ შორის, უახლოეს კვირებსა და დღეებში დაგეგმილი საკითხების წარმატებით მოგვარებას, მათ შორის, ევროკავშირთან ურთიერთობაში“. – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

# საიდან გაჩნდა მილიონები სამინისტროებისთვის, როცა ამბობენ, რომ ბიუჯეტს ფული არ ჰყოფნის?

**ბიძინა ივანიშვილის დაპირება იყო, საარსებო მინიმუმი გადაიხედებოდა და რეალური გახდებოდა, მაგრამ ახლა ამის გაგონება არ უნდათ. მე დავითვალე ძალიან ხელმომჭირნედ და მინიმუმ, 220 ლარი გამოდის**



**„არც წინა ხელისუფლების დროს და არც ახლა ცოცხალი თავით არავის არ უნდა საარსებო მინიმუმის გადახედვა, ესენი ანგარიშობენ, რამდენი კალორია სჭირდება ადამიანს, რომ იცოცხლოს და არ მოკვდეს, მერე ითვლიან, ბრინჯში რამდენი კალორიაა, „გრეჩიხაში“ რამდენია და ამის შემდეგ დგინდება კალათა. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ადამიანს მარტო კვება არ სჭირდება, 30 პროცენტი კიდევ უნდა მიემატოს, ზოგი სიგარეტს ეწევა, ზოგს კიდევ ფეხსაცმელი უნდა“**

2015 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მომავალი წლიდან დაფინანსება რამდენიმე სამინისტროს გაეზრდება, ხოლო რამდენიმეს შეუმცირდება: ფინანსთა სამინისტროს აქვს 96 მილიონი ლარი, ექნება – 100 მილიონი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქვს 120 მილიონ 500 ათასი, დარჩება – 120 მილიონი; იუსტიციის სამინისტროს აქვს 60 მილიონ 500 ათასი, ექნება – 65 მილიონი; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აქვს 157 მილიონი, ექნება – 155 მილიონი; საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს 90 მილიონი, ექნება – 100 მილიონი; თავდაცვის სამინისტროს აქვს 623 მილიონ 100 ათასი, ექნება – 625 მილიონი; შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს 600 მილიონი, დარჩება იგივე – 600 მილიონი; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქვს 80 მილიონი, ექნება – 85 მილიონი; განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აქვს 48 მილიონი, ექნება – 60 მილიონი; ენერგეტიკის სამინისტროს აქვს 114 მილიონ 600 ათასი, ექნება – 135 მილიონი; გარემოს დაცვის სამინისტროს აქვს 31 მილიონი, ექნება – 35 მილიონი; სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს აქვს 53 მილიონ 900 ათასი, ექნება – 55 მილიონი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს 754 მილიონ 300 ათასი, ექნება – 828 მილიონ 900 ათასი; ჯანდაცვის სამინისტროს აქვს 2 მილიარდ 658 მილიონი, ექნება – 2 მილიარდ 750 მილიონი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს 263 მილიონ 500 ათასი, ექნება – 291 მილიონი; რეგიონული ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს 875 მილიონი, ექნება – 955 მილიონი.

როგორც ხედავთ, ეკონომიკისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს დაფინანსება შეუმცირდება, პირველს – ნახევარი მილიონით, მეორეს – 2 მილიონით. აქ ნამდვილად არ შეინიშნება ტენდენცია, რომ ერთ სამინისტროს ჩამოაჭრეს და მეორეს მისცეს. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: საიდან გაჩნდა მილიონები სახელმწიფო უწყებებისთვის, როცა ფინანსთა სამინისტრო „ტირის“, თანხები არ გვაქვს, პენსიებს ვერ გავზრდით, თუ გავზრდით, ისიც 2015 წლის სექტემბრიდან და მხოლოდ სოციალურად დაუცველ პენსიონერებს მოვუმატებთო 25 ლარს, ხოლო პედაგოგებს – 50 ლარსო? არადა, 700 ათასი პენსიონერი იანვრიდან ელოდა მცირეოდენ მომატებას მაინც, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ 100 ათას ადამიანს დაეცემა „ტუზი“ და როგორც უკვე გითხარით, მომავალი წლის სექტემბრიდან. კი, ბატონო, კარგია, რომ სახელმწიფო უწყებებისთვის ამდენი დამატებითი თანხა გამონახა ფინანსთა სამინისტრომ, მაგრამ ამ ბიუჯეტის მიხედვით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ რიგითი მოქალაქეები არავის აინტერესებს. თუ რატომ, ამაზე „ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, **სერგო ჯავახიძე** ესაუბრება:

– აქ ბევრი ნიუანსია, როცა სამინისტროებს დაფინანსება ეზრდებათ, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ვალის აღებას აპირებს სახელმწიფო, როგორი იქნება საგადასახადო და საბაჟო შემოსავლები. არ არის გამორიცხული, 2014 წლის ბიუჯეტიდანაც გადაჰყვეს ნაშთი. ცოტა ხნის წინ გვქონდა ინფორმაცია, რომ დაახლოებით 3 მილიარდს ვერ ხარჯავდნენ, თუ წლის ბოლომდე აქედან რა თანხაც დარჩება გაუხარჯავი, ის გადავა მომავალ ბიუჯეტში. ახლა ერთმანეთში აურიეს პენსია და სოციალური დახმარება. ეს 25 ლარი, რაზეც ბოლო დღეებში ლაპარაკობენ, არის სოციალური დახმარება უმწეო პენსიონერებისთვის. თან 25 ლარი ყველასთვის არ არის, ეს მაქსიმუმია, როცა ამა თუ იმ ადამიანის მდგომარეობას შეაფასებენ, შეიძლება ზოგს 15 ლარი შეხვდეს, ზოგს – 20 ლარი. თუმცა ახლა მთავარი სხვა რამეა: რამდენიმე დღის წინ ინგა გრიგოლიას გადაცემაში პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობდა საარსებო მინიმუმზე, იქ მცირე კამათიც იყო, საარსებო მინიმუმი 148 ლარია თუ 155. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა? დღეს რამდენი უნდა მისცე ადამიანს, რომ იარსებოს? 40 ლარს რომ 25-ს დაუმატებ, 65 ლარით უმწეო ხომ მაინც ვერ იარსებებს? არც წინა ხელისუფლების დროს და არც ახლა ცოცხალი თავით არავის არ უნდა საარსებო მინიმუმის გადახედვა, ესენი ანგარიშობენ, რამდენი კალორია სჭირდება ადამიანს, რომ იცოცხლოს და არ მოკვდეს, მერე ითვლიან, ბრინჯში რამდენი კალორიაა, „გრეჩიხაში“ რამდენია და ამის შემდეგ დგინდება კალათა. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ადამიანს მარტო კვება არ სჭირდება, 30 პროცენტი კიდევ უნდა მიემატოს, ზოგი სიგარეტს ეწევა, ზოგს კიდევ ფეხსაცმელი უნდა. საბოლოოდ უნდა გამოვიდეს ისეთი ციფრი, რომ ადამიანს საჭმელი ჰქონდეს, ქუჩაში გავიდეს და უკანვე შემობრუნდეს. ბიძინა ივანიშვილის დაპირება იყო, საარსებო მინიმუმი გადაიხედებოდა და რეალური გახდებოდა, მაგრამ ახლა ამის გაგონება არ უნდათ. მე დავითვალე ძალიან ხელმომჭირნედ და მინიმუმ, 220 ლარი გამოდის. ცოტა მოიკელი, მიეცი პენსიონერებს ამდენი და აღარ დაგჭირდება 25 ლარზე თუ 5 ლარზე ლაპარაკი. სამინისტროებს რომც არ მოუმატო ახალი წლიდან, ისედაც არ აკლიათ დაფინანსება და ცოტა ხანს თავს გაიტანენ. საერთოდ, როცა ქვეყანაში ასეთი მდგომარეობა გაქვს, როცა მასობრივი უმუშევრობაა, გაჭირვებულების დიფერენცირება არ შეიძლება, სახიფათოა. ახლა თავდაცვის სამინისტრო 5 მილიონით მეტს მიიღებს თუ ნაკლებს, რა მნიშვნელობა აქვს, ამით სამუშაო ადგილები ხომ არ იქმნება?

**— რატომაც არ იქმნება? შტატებს დაამატებენ და ბიძაშვილებს დაასაქმებენ, ესეც საქმეა.**

– გადახედე, ბიუჯეტის პროექტი თვითონ ყვირის, ხალხზე ორიენტირებული არა ვარო. როდესაც ბიუჯეტი იზრდება, შეგიძლია, რომელიმე გადასახადი შეამცირო, თუნდაც საშემოსავლო, ან ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი, რაღაც შეღავათები დააწესო და ასე შემდეგ. საქართველოში პერსპექტივები არის, ხალხს საქმის კეთება უნდა, მაგრამ იცი, რა ხდება? ცხადდება ტენდერები, ადამიანებს განაცხადები შეაქვთ, იგებენ, მაგრამ მერე უქმდება. ასეთი რამ არ ყოფილა საქართველოს ისტორიაში, შემდგარი ტენდერების უმეტესობა უქმდება.

**— რატომ?**

– იმიტომ, რომ ვიღაცის სასურველი კომპანიები ვერ იგებენ. იგებენ „ნაციონალებთან“ შეკრული კომპანიები, ისინი მაინც გამოცდილები არიან, მერე აძლევენ სხვებს, რომლებიც არაკომპეტენტურები აღმოჩნდებიან ხოლმე და იძულებული არიან, გააუქმონ. ამიტომაც ვერ იხარჯება ფული. „ნაციონალები“ რა ნაბიჭვრებიც არიან, ეგ მე მკითხეთ, მაგრამ როცა ამ ნაბიჭვრებს უშვებ, უკეთესი ხომ უნდა მიიყვანო? ორი დღის წინ დარეგისტრირებული შპს რომ მილიონიან ტენდერს მოიგებს, ხომ დაეჭვდები? არ გამოდის, საქმეს ვერ გააკეთებს, უკეთეს შემთხვევაში, წავა, სხვა შპს-ს გაურიგდება, თვითონ მოიგებს და საქმეს იმას გააკეთებინებს. პირდაპირ ვამბობ, ეს არის კორუფციის ბუდე.

**— ანუ რა გამოდის? ტენდერებში ვერ ხარჯავენ თანხებს და ესეც სახელმწიფო უწყებების დასაფინანსებლად გადმოისროლეს?**

– ფაქტია, რომ ასეთი ტენდენცია მიდის. მე ვნახე მონაცემები, უამრავი ტენდერია გაუქმებული ნებისმიერ რაიონში, გინდა თელავი ავიღოთ, გინდა – გურჯაანი. ვიმეორებ, მოიგო კომპანიამ, მაგრამ ჩაიშალა, მიზეზი არსად არ წერია, რატომ და რისთვის. ბუნებრივია, წელს რომ თანხა ვერ დაიხარჯება, ის გადავა მომავალ ბიუჯეტში და როგორც ვხედავთ, მიდის სამინისტროებში.

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ დირექტორის, რომან გოცირიძის მონაცემებით, 2014 წლის 10 თვეში ბიუჯეტში შევიდა 7 მილიარდ 152 მილიონი ლარი, ანუ თვეში, საშუალოდ, 715 მილიონი. დარჩენილ 2 თვეში უნდა შევიდეს 2 მილიარდი ლარი. ამოცანა გვეკითხება: თუკი 10 თვეში დახარჯულია მხოლოდ 6 მილიარდ 959 მილიონი ლარი, ანუ 695 მილიონი თვეში, შეგვიძლია, დარჩენილ 2 თვეში 2 მილიარდ 121 მილიონი დავხარჯოთ? ბატონი რომან გოცირიძე ამტკიცებს, რომ ასეთი სასწაული ვერ მოხდება. რაც შეეხება 25-ლარიან დახმარებას, მისი აზრით, ეს უსამართლობაა:

„პენსია მხოლოდ ღარიბებს უნდა მოვუმატოთო. ასეთი რამ არ არსე-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „კოალიციას მოუწევს „თავისუფალ დემოკრატებთან“ თანამშრომლობა“

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის ხათუნა სამნიძის განცხადებით: „კოალიციას მოუწევს თავისუფალ დემოკრატებთან თანამშრომლობა ამა თუ იმ საკითხებში. გარკვეული, კონკრეტული თემები შესაძლებელია იყოს თანამშრომლობის საფუძველი სამომავლოდ... ჩვენ, „რესპუბლიკელები“ გავაგრძელებთ თანამშრომლობას „თავისუფალ დემოკრატებთან“. არასდროს გვქონია მათთან არსობრივი დაპირისპირება, ან შეუთანხმებლობა მათ ფრაქციასთან პარლამენტში. დარწმუნებული ვარ, „თავისუფალი დემოკრატები“ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის სასიკეთოდ, ჩვენთან, ისევე როგორც კოალიციასთან, ითანამშრომლებენ“, – აცხადებს სამნიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „გადაბირება-გადმობირებაზე გააფთრებული კონსულტაციები მიმდინარეობს“

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ პარტიის პოლიტიკური მდივნის გიგლა ბარამიძის განცხადებას ავრცელებს:

„ყველა ველოდით პრეზიდენტის გამოსვლას, რომელიც შეაფასებდა მიმდინარე მოვლენებს და ყველაფერს თავის მიმართულებებს მისცემდა. სინამდვილეში, მივიღეთ მთავრობის სხდომის ჩვეულებრივი დღის წესრიგი, რომელიც მისი გამოსვლის გარეშეც გადაწყდებოდა. ახლა მიმდინარეობს გააფთრებული კონსულტაციები, გადაბირება-გადმობირებები და ალბათ, მაღალი რანგის თანამდებობის პირები უყურებენ, პოლიტიკური ვექტორი საით გადაიხრება, რომ მასზე და არა ერის ინტერესებზე დაფუძნებით გაკეთდეს განცხადებები“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ბობს მსოფლიო პრაქტიკაში. თუ უნდათ, რომ სოციალურად დაუცველებს დაეხმარონ, დაარქვან სოციალური დახმარება წლის ბოლომდე და 2016 წლიდან გაუქმდეს, შემდეგ კი ყველას დაენიშნოს ერთნაირი პენსია. 700 ათასი პენსიონერიდან 100 ათასს რომ აძლევ, სად გაგონილა? ეს რიცხვი ამდენიც არ იქნება, რადგან ყველა ოჯახში, სადაც სოციალურ დახმარებას იღებენ, არ არის პენსიონერი. გამოდის, რომ მხოლოდ ასაკით პენსიონერთა 10 პროცენტს მოემატება. სხვა კატეგორიის პენსიონერები საერთოდ დაივიწყეს. ეს ხდება მაშინ, როცა ასე იზრდება ბიუროკრატიის ხარჯები და სახელმწიფო ორგანიზაციები გადაჭედილია შტატებით. ლამის ყოველდღე იქმნება ახალ-ახალი ფონდები და დეპარტამენტები. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში პენსიის სიდიდით ვართ ბოლო ადგილზე ტაჯიკეთთან, ყირგიზეთთან და მოლდოვასთან ერთად. საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ჯანსაღი ბიზნესით და არა სახელმწიფო პროგრამებით, სტიმულირებული წამგებიანი კერძო თუ სახელმწიფო საწარმოებით. რამდენიმე მილიარდი დახარჯა მთავრობამ, უკუგება კი მინიმალურია. ეს ბიზნესი არაა. ეს შერჩევითი სოციალური დახმარებაა ბიზნესპროექტებს ამოფარებული. სექტემბრიდან, ანუ თითქმის ერთი წლის შემდეგ... ანუ 8 თვის ეკონომიაა. რატომ აძლევენ თბილისში დენის ვაუჩერს იმათ, ვისაც ეს არ სჭირდებათ? ასევეა ჯანმრთელობის დაზღვევაში. ასეთ დროს მდიდრისთვის მიცემული ფული ღარიბისთვის წართმეულს ნიშნავს. თავის მართლება, რომ ეს ხომ წინა მთავრობის დროსაც იყო, უკვე არ მუშაობს და დემაგოგიაში გადადის. თუ იცი, რომ ცუდი იყო, რატომ იმეორებ?"



**დიდი მადლობა ბატონ ნოდარს ასეთი „საფუძვლიანი" განმარტებისთვის, რომელსაც ერთი მაზალო კომენტარიც მოაყოლა – თურმე, „ზოგადად, მხარჯავი დაწესებულებებისთვის ბიუჯეტის ზრდა ემყარება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებსა და მობილიზებულ ფინანსურ რესურსებს"**

როგორც ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური აცხადებს „ალიასთან", დამატებითი რესურსის მოძიება განხორციელდა შემოსავლების მობილიზებისა და ადმინისტრირების ხარჯზე:

„მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რესურსის მოძიება დაკავშირებული არ არის ახალი ვალდებულებების (საგარეო და საშინაო ვალი) აღებასთან. დამატებითი რესურსი გადანაწილდა სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ განსახორციელებელ პროგრამებზე".

დიდი მადლობა ბატონ ნოდარს ასეთი „საფუძვლიანი" განმარტებისთვის, რომელსაც ერთი მაზალო კომენტარიც მოაყოლა – თურმე, „ზოგადად, მხარჯავი დაწესებულებებისთვის ბიუჯეტის ზრდა ემყარება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებსა და მობილიზებულ ფინანსურ რესურსებს".

ესე იგი, ხადურის განმარტებით, მხარჯავმა, ანუ „მქაფავმა" უწყებებმა თანხები მოითხოვეს და მიეცათ. მოდით, კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ ბიუჯეტის პროექტში და მივხვდებით, რის ხარჯზე ხდება ეს ყველაფერი: ამჟამად ჩვენი ბიუჯეტი შეადგენს 8 მილიარდ 300 მილიონ ლარს, მომავალ წელს იქნება 9 მილიარდ 400 მილიონი ლარი. აქედან 7 მილიარდ 460 მილიონი აიკრიფება გადასახადებიდან, 1 მილიარდამდე შემოვა სხვა შემოსავლებიდან, პრივატიზაციიდან, სესხების დაბრუნებიდან და ასე შემდეგ. დაახლოებით 1 მილიარდს ველოდებით დონორებისგან გრანტების სახით. საერთოდ, მომავალი წლის ბიუჯეტი ძირითადად მაინც პროგნოზებზეა ხოლმე დაფუძნებული – რას წინასწარმეტყველებს ბატონი ნოდარ ხადური 2015 წლისთვის? მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არის 5% და ასევე დარჩება. საშუალო წლიური ინფლაცია ამჟამად არის 3,5%, იქნება – 4%. საბიუჯეტო დეფიციტი შესაძლოა იყოს 3%, ანუ სადღაც 900 მილიონი. თუ ბიუჯეტი გაირღვა, მოხდება სეკვესტრი და სამინისტროებს ცოტ-ცოტა ჩამოეჭრებათ. ბოლოს და ბოლოს, 25-ლარიან სოცპენსიას გავაუქმებთ და ეგ იქნება. ძალიან საინტერესოა საკითხში უფრო ღრმად ჩასვლა და იმის გარკვევა, კონკრეტულად რაში დახარჯავენ სამინისტროები მომატებულ თანხებს, ახლა ხელფასებსა და დანამატებს რომ გაზრდიან, მაგაში ეჭვი არ შეგეპაროთ, მაგრამ არის რაღაც პროგრამები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ. კონკრეტულად რა და რამდენად რეალურია ეს პროგრამები, ამას ცალკე შევისწავლით, ეკონომისტებსაც დავეკითხებით და უახლოეს ხანში მოგახსენებთ.



**„იზრდება ბიუროკრატიის ხარჯები და გადაჭედილია სახელმწიფო ორგანიზაციები შტატებით. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში პენსიის სიდიდით ვართ ბოლო ადგილზე ტაჯიკეთთან, ყირგიზეთთან და მოლდოვასთან ერთად. საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ჯანსაღი ბიზნესით და არა სახელმწიფო პროგრამებით, სტიმულირებული წამგებიანი კერძო თუ სახელმწიფო საწარმოებით. რამდენიმე მილიარდი დახარჯა მთავრობამ, უკუგება კი მინიმალურია"**

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

# „თიბისი ლიზინგმა" მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად 4 მილიონი ამერიკული დოლარი მოიზიდა

6 ნოემბერს „თიბისი ბანკის" სათავო ოფისში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას: თიბისი ლიზინგი მცირე და საშუალო ბიზნესორგანიზაციებს დააფინანსებს. საამისოდ თიბისი ლიზინგი 4 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის სესხით დაფინანსდა, სესხი კი შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა გამოყო. ხელმომწერ მხარეებს შორის იყვნენ „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიბისი ლიზინგის დირექტორი ნანა მიქაშავიძე და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იჰსან უღურ დელიკანლი.

**„თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე:**

– ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თიბისი ლიზინგსა და შავი ზღვის ვაჭრობის ბანკს შორის, რაც ნიშნავს იმას, რომ „თიბისი ბანკის" ლიზინგს ექნება შესაძლებლობა, მოიზიდოს გრძელვადიანი რესურსები და დააფინანსოს ქართული კომპანიები. თიბისი ლიზინგი არის ერთ-ერთი ლიდერი სალიზინგო კომპანია საქართველოს ბაზარზე და აქვე შეგახსენებთ მცირე ისტორიას:

თიბისი ლიზინგი დაარსდა 2003 წელს და ის ამ წლიდან წარმატებულად ოპერირებს. კომპანია დაფუძნდა „თიბისი ბანკისა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის **(EBRD)** მიერ. კომპანია ძირითადად, ორიენტირებულია მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ფინანსირებაზე და ამჟამად სალიზინგო ბაზრის 67% უკავია. რაც მთავარია, ის აფინანსებს მცირე და საშუალო ბიზნესს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. 24 თანამშრომლითა და 58 მილიონი ლარის ოდენობის პორტფელით თიბისი ლიზინგი ამჟამად 400-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. კომპანია ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა საქმიანობის ძირითადი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. უნდა ითქვას, რომ შავი ზღვის




ვაჭრობისა და განვითარების ბანკი წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს, რომელიც დაფუძნებულია ალბანეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის, თურქეთისა და უკრაინის სახელმწიფოების მიერ. ინსტიტუტი ემსახურება რეგიონის ეკონომიკის განვითარებას, წევრი სახელმწიფოებისა და კერძო სტრუქტურებისთვის საკრედიტო ხაზების, სესხების, ინვესტიციებისა და გარანტიების უზრუნველყოფის საშუალებით. ბანკის კაპიტალი 3,45 მილიარდი ევროა, ბანკი შეფასებულია **„A"** კატეგორიით **Standard and Poor's**-ის და **„A2"** კატეგორიით **Moodi's** მიერ.

ლიზინგის პორტფელი დივერსიფიცირებულია და ისეთ ინდუსტრიებს მოიცავს, როგორიცაა მედიცინა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სერვისი, ტრანსპორტი და სხვა.

მინდა „თიბისი ბანკისა" და თიბისი ლიზინგის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმრებს, რომ თიბისი ლიზინგს საშუალება ეძლევა, მოიზიდოს ახალი რესურსები. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი დღე იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი და „თიბისი ჯგუფთან" და სხვა ქართულ კომპანიებთან შავი ზღვის საერთაშორისო ბანკი სხვა უამრავ ქართულ კომპანიასაც დააფინანსებს.

**იჰსან უღურ დელიკანლი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე:**

– დღევანდელი დღე იმ თვალსაზრისითაც არის ჩემთვის მნიშვნელოვანი, რომ მეძლევა საშუალება, კიდევ უფრო წინ წავწიოთ ჩვენი თანამშრომლობა „თიბისი ჯგუფთან". დღეს ხელი მოეწერა 4 მილიონი დოლარის ფინანსური რესურსის ხელშეკრულებას, რაც მოგვცემს საშუალებას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, შეიძინონ მანქანა-დანადგარები და ტექნიკური აღჭურვილობა.

ჩვენი ბანკი მძლავრად უჭერს მხარს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, როგორც საქართველოში, ისე მთელ რეგიონში, რაც ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს გახლავთ სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენა, რაც შემუშავებულია საქართველოს მთავრობასთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე და დარწმუნებული ვარ, აღნიშნული მიმართულება საქართველოს ეკონომიკას იმის ბიძგს მისცემს, რომ მცირე ბიზნესები უზრუნველყოფილები იქნებიან ფინანსური საშუალებებით. ესაა მესამე სალიზინგო სესხი, რომელსაც თიბისი ლიზინგს ვთავაზობთ და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ წარმატებული თანამშრომლობის ჩარჩოებში ლიზინგის მთლიანი მოცულობა საქართველოში, რისი ინვესტიციაც ჩვენ განვახორციელეთ, უკვე 10 მილიონ ამერიკულ დოლარს წარმოადგენს.

**ნანა მიქაშავიძე, თიბისი ლიზინგის დირექტორი:**

– უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა გვინდა, გადავუხადოთ შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტს, ბატონ იჰსან უღურ დელიკანლის და მთლიან გუნდს მხარდაჭერისთვის. ფაქტობრივად, 2007 წლის შემდეგ მათთან აქტიურად ვთანამშრომლობთ და ყოველთვის ნაყოფიერად. ერთობლივი წარმატების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ჩვენი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ეს ასევე მნიშვნელოვანია შავი ზღვის ბანკის განვითარებისთვისაც. ერთად უკვე საკმაოდ ბევრი წარმატებული პროექტი დავაფინანსეთ წინა რესურსითაც, ახლაც ვაგრძელებთ და ჩვენი დახმარებით ახლაც საკმაოდ ბევრი კომპანია მიიღებს დახმარებას.

## თუკი ეს ხელისუფლება ცილისმწამებელი, მატყუარა და თავხედია, რაღას ელოდებიან? რატომ არ იწყებენ მის შესაცვლელად ბრძოლას?

## თუ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დანაშაულს აფარებს ხელს, რაღა გინდა მაგნაირ პარტიასთან?

პრემიერმა ღარიბაშვილმა ირაკლი ალასანია კორუფციის მფარველობაში რომ დაადანაშაულა, ექსმინისტრი თავის თანამშრომლებს გადაეფარა და განაცხადა, ჩემი ბიჭების უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარო, მეორე დღეს კი დაამატა, საქმეში ჩავიხედე და ჩემს სიმართლეში უფრო დავრწმუნდი, ეს უკვე პოლიტიკური დევნააო და მისი გუნდის წევრებიც ერთხმად აყვნენ ლიდერს. იმის ნაცვლად, რომ ღიად დაპირისპირებოდნენ მთავრობას და ეთქვათ, მართალი ვარ, მატყუარა, ცილისმწამებელი და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე გადასული ხელისუფლება გვყავს, კოალიციას ვტოვებთ და ვიწყებთ ბრძოლას მისი ხელისუფლებიდან მოცილებისთვისო, განაცხადეს, საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მოხსნან, კოალიციაში ჩვენი დარჩენა-არდარჩენის საკითხი კი კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყდებაო.

მეორე მხრივ, ღარიბაშვილმა ალასანია კორუფციის მფარველობის გამო რომ მოხსნა, საკითხის განხილვა პოლიტსაბჭოზე გადაიტანა. ვერ გავიგე, თუ ირაკლი ალასანია კორუფციის მფარველია, გამოდის, ამ კორუფციას „თავისუფალი დემოკრატების“ მთელი ფრაქციაც მფარველობდა, რადგან ლიდერს ყველაფერში ეთანხმებოდნენ. ლოგიკურად ჩნდება კითხვა — რატომ არ გარიცხეს კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატები“ და რატომ დანიშნეს პოლიტსაბჭოს სხდომა იმისთვის, გაერიცხათ თუ არა კოალიციიდან ალასანიას პარტია? თუ პარტია დანაშაულს აფარებს ხელს, რაღა გინდა მაგნაირ პარტიასთან?

ამ საკითხის გარკვევა „ალიამ“ 5 ნოემბერს დაიწყო და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელს **ზურაბ აბაშიძეს** დაუკავშირდა:



**— თუ შეიძლება, მიპასუხეთ, თქვენ თუ მართლები ხართ და თავდაცვის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნების სიმართლეში დარწმუნებულები ბრძანდებით, ასევე, თუ დარწმუნებული ხართ, რომ მიზანმიმართულად ცილს გწამებენ და კორუმპირებულად გაცხადებენ, რაღას დაელოდეთ საქმეებზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნას, ან რას ელოდებოდით პოლიტიკური საბჭოს შეკრებას? თუ უკადრისს გაბრალებდათ პრემიერი, მყისიერად უნდა გამოსულიყავით და ერთი ამბავი აგეწიათ. ბრიფინგი მოგეწვიათ და მთელი ხმით გეყვირათ, ეს მთავრობა ცილს მწამებს, მაგათთან არ გავჩერდები, დღეიდან კოალიციიდან გავდივარ და დავიწყებ ბრძოლას მათი ხელისუფლებიდან მოსაშორებლად, რადგანაც ამ მეთოდებით ესენი ქვეყანას დედას უტირებენ და ქვეყანას დაღუპავენო. ამ დროს თქვენ განაცხადეთ, გრიფს არ გვიხსნიან და სიმართლეს ვერ ვამტკიცებთ და პოლიტსაბჭოზე გავარკვევთ, რა უნდა ვაკეთოთო (მაწყვეტინებს)...**

– თქვენ რა, ეჭვი გეპარებათ ჩვენში? მეტი რა გვექნა, ვთქვით, რომ ასეა, მივედით, ველაპარაკეთ პრემიერ-მინისტრს, ვუთხარით, რომ ეს ხალხი უდანაშაულოა, მოდით, გამოვუშვათ ციხიდან და გაგრძელდეს გამოძიება და პირიქით, თავდებში ვუდგებით ყველანი და დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუ ასე მოხდა, ჩვენ ყველანი პასუხისმგებლობას ავიღებთ. რა, ვტყუივ-არ ერთი წამით? აქ სახელმწიფოზეა საუბარი და ქვეყანაზე, რა ბრიფინგი? ჩვენ ყველა რესურსი ამოვწურეთ ბოლო წამამდე, მას შემდეგ, რაც ცილისწამება და ტალახი წამოვიდა და, სამწუხაროდ, პრემიერ-მინისტრი მხარე გახდა და აირჩია პროკურატურა. მაგრამ ეს მისი პრობლემაა, ჩვენ ყველაფერს ვეცადეთ, ყველა რესურსის გამოყენებას. აწი, რაც უნდათ, ის უქნიათ, გინდა გრიფი მოხსნან და გინდა, ნუ მოხსნიან, ჩვენს სიმართლეში დარწმუნებულები ვართ ყველანი, სხვა შემთხვევაში ამ ნაბიჯს არ გადავდგამდით, მართლები ვართ!

**— რაში ხართ მართლები?**

– ჩვენს სიმართლეში, რომ არანაირად კორუფციასა და ფულების მითვისებას ადგილი არ ჰქონია და ამას გეუბნებით პირდაპირ და თქვენ თუ ინტრიგანული შეკითხვები გინდათ, დამისვათ, ძალიან გთხოვთ, არ ვაპირებ მაშინ თქვენთან საუბარს.

**— რას ნიშნავს ინტრიგანული შეკითხვები, ალოგიკური რა გითხარით ან რა გკითხეთ?**

– აბა, რას ნიშნავს? გეუბნებით, ასეა-თქო და თუ არ გჯერათ ამის, ეგ თქვენი პრობლემაა, პირდაპირ გეუბნებით და ეგრევე დაწერეთ, გეუბნებით, ეგრეა-თქო! რა გინდათ ჩემგან? პირდაპირ გეუბნებით, რა, არ მოგეწონათ ჩვენი საქციელი? მხარე ხართ თქვენ?

**— მხარე რა შუაშია? როცა ამბობთ, რომ თურმე ევროინტეგრაციას საქართველოში ხელი ეშლება, საიდან ჩანს ეს ხელისშეშლა? რა, ალასანიას ვინმე ხელს უშლიდა ნატოსთან და ევროპასთან ურთიერთობაში? რა, ნატო წვრთნებს არ ატარებდა ჩვენთან? ავღანეთის მისიაში არ ვიღებდით მონაწილეობას, თუ რა ხდებოდა?**

– დიახ, ხელი შეუშალეს და ყველაფერში შეუშალეს ხელი! თქვენ ძალიან ბევრი რამე არ იცით, სამწუხაროდ...

**— და თქვით, ბარემ, რაში გიშლიდნენ ხელს?**

– ხოდა, ყველაფერს ვამბობთ, ხელის შეშლა მიმდინარეობდა ყოველდღიურად იმ პროცესებისთვის, რასაც დღეს ქვეყანამ მიაღწია და ნახავთ თქვენ, დააკვირდით პროცესებს და ჩვენ ჩვენს საქმეს გავაკეთებთ. ხალხის მხარდაჭერა ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა მოხდეს კონსოლიდირება და დანარჩენი ვნახოთ, ჩვენ არავისთვის გვიღალატია, ესაა მნიშვნელოვანი!

**— ის არაა მნიშვნელოვანი, რომ თქვენ დატოვეთ კოალიცია და ამბობთ, პარლამენტში თანამდებობაზე მაინც ვრჩებით, რომ საბოტაჟში არ ჩაგვეთვალოსო. კი, მაგრამ უმრავლესობიდან თუ გადიხართ და, თუ თვლით, რომ „ოცნება“ და პრემიერი ცილისმწამებელია, მაშინ თანამდებობებზე რატომ რჩებით? მანდედანაც წამოდით, თორემ ამას უნამუსობა ჰქვია.**

– (აღელვებული) მე ვარ არჩეული ამ თანამდებობაზე და თუ ვინმეს უნდა, გადამაყენოს! დავასრულე მე თქვენთან საუბარი, ნახვამდის!!

**ზურაბ აბაშიძემ იმდენი ქნა, საუბარი სხვა ჭრილში გადაიყვანა და ძირითად საკითხზე საუბრის საშუალება არ მოგვეცა. არა და, თავიდანვე გასაგებად ვკითხეთ, რომ ამბობ, მართლები ვართ, კოალიციის და მთავრობის ხელმძღვანელობა ცილს გვწამებს და თქვენი თანაპარტიელი ამბობს, „დემოკრატია საფრთხეშია, დიქტატურა მოდის“-ო, რატომ შეტევაზე არ გადახვედით, მაგ ხალხთან რაღა გინდოდათ, წამოსულიყავით-მეთქი და ბრძოლა დაგეწყოთ „დიქტატურის“ მოსაშორებლად.**

**ახლა ვნახოთ, რას ამბობს საპირისპირო მხარე. ვუკავშირდებით უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს:**



**— დავით საგანელიძემ განაცხადა, რომ წინა პოლიტსაბჭოზე მასალები ვნახეთ და იქ იკვეთება კორუფციული სქემებიო. თუ ასეა, მაშინვე გქონოდათ რეაგირება და გეთქვათ, რომ ეს ხალხი კორუმპირებულია, რომ ხალხის ფულს ჭამენ და რატომ მიეცით საბაბი, რომ ალასანიას „ოცნებისათვის“ გადაევლო? გამოვიდა, რომ ყოფილი მინისტრი, რომლის მაღალჩინოსნებიც კორუფციაში არიან გარეულები, თურმე დემოკრატიას იცავს. გამოსულიყავით და გეთქვათ, რომ მათი ადგილი არ არის კოალიციაში და უნდა დატოვონ ჩვენი რიგებიო.**

– მოდით, ასე ვთქვათ, რა ბრალდებაც არ უნდა იყოს, კორუფციული გარიგება, თუ ნებისმიერი თანამდებობრივი დანაშაული, ეს უნდა დაადგინოს საბოლოოდ სასამართლომ, შეიძლება, ეჭვი აქვს პროკურატურას და მასალები აქვს და საქმის ძიება დაიწყო, ბრალიც წაუყენა, მაგრამ საბოლოო ჯამში ვერც საგანელიძე, ვერც უსუფაშვილი და ვერც მე ვერავინ იტყვის წინასწარ ვერაფერს. ჩემი აზრით, ამ საქმის პოლიტიზება თავიდანვე ძალიან არასწორი იყო და განცხადებებს არ ვაკეთებდი, ძალიან ვერიდებოდი, რადგანაც ნებისმიერი განცხადება შეიძლება, აღქმულიყო სასამართლოზე ზეწოლად. მოდით, ვაცადოთ სასამართლოს, რადგანაც, თუ არ უმტკიცდება ვინმეს ბრალი, სასამართლო ნამდვილად არ დასჯის მას ამ შემთხვევაში.

**— კი, მაგრამ, ვიმეორებ, თქვენი გუნდის წევრმა განაცხადა, იკვეთება კორუფციული სქემებიო და ხელში თუ გქონდათ ფაქტები, გამოდის, ამდენი ხანი ხელს აფარებდით კორუფციას? თუ არ არის კორუმპირებული ალასანია, მაშინ რაში დაგჭირდათ ეს ყველაფერი და თუ არის კორუმპირებული, მაშინ რას ელოდებოდით?**

– ვერც საგანელიძე და ვერც მე ვერ ვიტყვით, ნამდვილად არის თუ არა ეს კორუფცია, ეს სასამართლოს საქმეა და მივანდოთ მას. როცა ასეთი რამ ხდება უწყებაში, მინისტრს უჩნდება სურვილი და ცდილობს, გამართლება მოუძებნოს საკუთარი თანამშრომლებს, მაგრამ იყენებს პოლიტიკურ კურსს, რაც სრულიად არასწორია ჩემთვის.

**— კი, მაგრამ, ხომ ხედავთ, როგორ მოატრიალა საქმე და საიდან მოაბა ალასანიამ ყური მას თქვენი პასიურობის ფონზე?**

– ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს პოლიტიკურად განცალკევებით მოქმედება, მაგრამ ეს მათი არჩევანია და სამინისტროზე არ არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და შეუცვლელი არავინაა. არც ერთი მინისტრი ხელშეუხებელი არაა, თუ დანაშაულს ჩაიდენს, პასუხი მოეთხოვება და თუ სადმე უწყებაში არის კორუფციული გარიგება, კითხვები უნდა დაისვას, რა შუაშია პოლიტიკური კურსი? პროკურატურა მუშაობს და ამას დრო სჭირდება.

**— თუ კორუფციის ნიშნებია, როგორც საგანელიძე ამბობს, როგორ ფიქრობთ, ეს თანხები მიდიოდა თუ არა ალასანიასთან?**

– თქვენ ჟურნალისტი ხართ და ნებისმიერი კითხვა შეიძლება, დასვათ, მაგრამ მე ვერ დავარღვევ ვერავის უდანაშაულობის პრეზუმფციას, მით უმეტეს ალასანიას მიმართ არ არის დევნა დაწყებული და პირიქით, მინისტრის ინტერესებში უნდა ყოფილიყო, რომ ამ საქმის პოლიტიზება არ მომხდარიყო და წინასწარ არ ეთქვა, ეს ხალხი ან დამნაშავეა ან უდანაშაულოო, ეს, ვიმეორებ, სასამართლოს გადასაწყვეტია.

**არც მანანა კობახიძე გვცემს პასუხს მთავარ კითხვაზე, თუ კურუფციის მფარველობაში იყვნენ ეჭვმიტანილი „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი და მისი ფრაქციის წევრები, რომლებიც ალასანიას ნათქვამს კბილებით იცავდნენ, რატომ არ არ გარიცხეს კოალიციიდან? რა შუაშია უდანაშაულობის პრეზუმფცია? თუ იურიდიულად უდგები საკითხს, მაშინ რატომ ტეხთ ერთ ამბავს, კორუფციას ხელს აფარებენო? დაელოდე გამოძიების შედეგებს და სათქმელი მერე თქვი.**

**„ალია“ მეორე დღესაც ცდილობს სტატიის შესავალში დასმულ კითხვებზე უფრო არგუმენტირებული, საფუძვლიანი და დამაჯერებელი პასუხის მიღებას და ამჯერად „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, პარლამენტის თავდაცვის და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს უკავშირდება:**

**— ბატონო ირაკლი, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა როცა განაცხადა, ირაკლი ალასანია კორუფციას ხელს აფარებსო, ალასანიას მისივე თანაგუნდელები დაუდგნენ გვერდით. გამოდის, ეს ხალხი კორუფციაში ბრალდებულებს იცავდა. რატომ მაშინვე არ გარიცხეთ კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატები“?**

– ასეთი პოლარიზებულნი ნუ ვიქნებით, რა. დამნაშავეა თუ არა ეს ხალხი, ამას მხოლოდ სასამართლო დაადგენს.

**— თუ სასამართლო დაადგენს დამნაშავეობა-უდანაშაულობას, მაშინ რატომღა მოხსნა ღარიბაშვილმა ალასანია? რატომ არ დაელოდა სასამართლოს განაჩენს?**

– ალასანია იმიტომ არ მოუხსნიათ, რომ კორუფციულ ფაქტთან

გაგრძელება მე-6 გვერდზე

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



*მეხუთე გვერდიდან*

ჰქონდა კავშირი. ის გადააყენა პრემიერ-მინისტრმა იმიტომ, რომ, როცა ალასანიას სისტემაში მიმდინარეობდა გამოძიება კორუფციულ ფაქტთან დაკავშირებით, მან გააკეთა უპასუხისმგებლო განცხადებები, მან შეცდომაში შეიყვანა საერთაშორისო საზოგადოება ხელისუფლების საგარეო კურსთან დაკავშირებით, მან შელახა ჩვენი ქვეყნის იმიჯი, მოქმედებდა კოალიციის საწინააღმდეგოდ, მისი განცხადების გაიგივება შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით... თავდაცვის სამინისტროს პოლიტიზება მიუღებელი იყო. მისი განცხადება, რომ ხელისუფლებამ შეიცვალა პროდასავლური კურსი, არის სიცრუე და უპასუხისმგებლო განცხადება.

**— კაცო, დაუქცევია ქვეყანა ირაკლი ალასანიას, თავადვე აცხადებთ, და ასეთი კაცი და მისი გუნდი რატომ არ გაყარეთ კოალიციიდან? რატომღა დანიშნეთ ის პოლიტსაბჭო?**

– ჰოდა, ამიტომ მოვიღეთ ეს გადაწყვეტილება. როცა 6 საათზე ალასანიას ეს განცხადება მოვისმინეთ, შოკში ჩავვარდით ყველანი. ეს იყო პრემიერისა და კოალიციის შეურაცხყოფა.

**— აგაშენათ ღმერთმა, მაგას ვამბობ მეც — შეურაცხყოფაც მოგაყენათ, ყველაფერთან ერთად და შოკშიც ჩაგაგდოთ. ისევ იმას გეკითხებით, რატომ იმავე დღეს არ გარიცხეთ კოალიციიდან ალასანია და მისი გუნდი, როცა ასეთ დანაშაულებში დაგდოთ ბრალი? რა გინდოდათ ამ მატყუარა და ქვეყნის ღირსების შემლახველ ხალხთან, რომლებიც, ამავდროულად, კორუფციას მფარველობდნენ?**

– გავიდნენ კოალიციიდან და...

**— სწორედ მაგას გეკითხებით, სანამ გასვლას დაგასწრებდნენ, მანამდე რატომ არ გარიცხეთ?**

– არ გეთანხმებით, ირაკლი ალასანია იმ განცხადების შემდეგ, გადააყენა პოსტიდან პრემიერმა. პარტიისა თუ ფრაქციის წევრებს კი არაფერი დაუშავებიათ.

**— ბატონო ირაკლი, მთელი პარტია გვერდით ედგა ალასანიას იმ განცხადების გაკეთების დროს, პარტიის ყველა ლიდერი ალასანიას პოზიციას ამართლებდა, სხვა რა უნდა დაეშავებინათ?**

– მე ვფიქრობ, ირაკლი ალასანიამ თავად შეიყვანა ფრაქციის წევრები შეცდომაში, ეგენი ბავშვობის მეგობრები არიან და სოლიდარობა გამოუცხადეს ლიდერს.

**— კი, ეგენი ისევ მეგობრებადაც დარჩებიან, მაგრამ პოლიტიკასთან რა შუაშია ბავშვობის მეგობრობა? ეგენი ამართლებდნენ ალასანიას, რომელსაც თქვენმა ლიდერმა, ღარიბაშვილმა კორუფციის მფარველი უწოდა.**

– არა, დანაშაულს კი არ ამართლებდნენ, პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ გამოძიებისთვის გვეცლია და გამოჩნდებოდა მერე ყველაფერი. მერე ვილაპარაკოთ პოლიტიკურ დევნაზე, თუ ამ ხალხს დანაშაული არ დაუმტკიცდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ შეცდნენ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები და ამას მალე დაინახავს საზოგადოება.





**მანანა კობახიძე გასაგებია, პოლიტიკაში ადვოკატობიდან მოვიდა და იმიტომ „აწვებოდა“ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ შენ რომ პარლამენტამდეც უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობდი, ექსპერტი იყავი და შენი თანაგუნდელები „ოცნებიდან“ ერთხმად გაიძახოდნენ, „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებები ქვეყნისთვის საფრთხის შემცველიაო, ექსპერტ კაცს მარტივ კითხვაზე არ შეგიძლია მოჭრილი და პირდაპირი პასუხი გამცე? ახლა ვნახოთ, რას იტყვის „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, ვიქტორ დოლიძე:**

**— ბატონო ვიქტორ, ირაკლი ალასანიამ, ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე მინისტრის პოსტიდან მოხსნიდნენ, ხელისუფლებას ბრალი დასდო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა უკანონო დაკავებაში, ეგ ბიჭები მართლები არიან, მათი მჯერა და თავდებშიც ჩავუდგებიო. თუ მართლები ხართ, რატომ მაშინვე არ დატოვეთ კოალიცია, რატომ დაელოდეთ „საიდუმლო“ გრიფის ახსნას. დაგეტოვებინათ მაშინვე კოალიცია, გეთქვათ მატყუარა და ცილისმწამებელი ხელისუფლება გვყავს, მათი ადგილი ხელისუფლებაში არ არის და მის მოსაცილებლად ბრძოლას ვიწყებთო.**

– თქვენ, ეტყობა, ვერ გაიგეთ, ზუსტად რა თქვა ალასანიამ და რას ვამბობთ ჩვენ.

**— ძალიან კარგად გავიგე, მის ყველა განცხადებას მოვუსმინე და სააგენტოებიც სავსეა მისი ამ განცხადებებით.**

– ეტყობა, ვერ გაიგეთ აზრი განცხადებების. აზრი სხვა იყო. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ პროკურატურამ რა ნაბიჯებიც გადადგა, რა ფორმებშიც გადადგა და პერიოდშიც გადადგა, ის იყო დარტყმა სწორედ თავდაცვის სამინისტროზე, ეს სამინისტროა ერთ-ერთი უმთავრესი ჯაჭვი ჩვენი ქვეყნისა ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში. აქ სხვა არაფერი კოალიციასთან დაკავშირებით, მთავრობასთან დაკავშირებით, ჩვენი მხრიდან არ გაკეთებულა. ამიტომ, თუკი თქვენ მოისმენთ დაკვირვებით, რა განცხადებებიც გაკეთდა ჩვენი მხრიდან, ირაკლი ალასანიას მხრიდან განცხადებების მერე, სწორედ პრემიერმა დაიჭირა მხარე.

**— მეც მაგას გეკითხებით, თუკი მხარე დაიჭირა და უსამართლოდ მოგექცათ, დამნაშავე ხელისუფლებასთან რატომ დარჩით, კოალიცია რატომ არ დატოვეთ, რაღა გესაქმებოდათ უსამართლო ხელისუფლებასთან?**

– თქვენ რაღაცა დროში ხომ არ გერევათ?

**— არა, მე დროში არაფერი მერევა.**

– გეუბნებით და თუ არ გინდათ გაიგოთ, ვერ გავიგე. რატომ არ დატოვეთ კოალიციაო, რომ მეუბნებით, რატომ უნდა დაგვეტოვებინა?

**— იმიტომ, რომ ცილი დაგწამათ და უსამართლოდ მოგექცათ, აქ რა არის გაუგებარი? უკანონო დაჭერებში, პროდასავლური კურსის ღალატში დაადანაშაულეთ ხელისუფლება, პრორუსულობაში დასდეთ ბრალი...**

– ვინ მონათლა პრორუსულობაში ხელისუფლება? რატომ სვამთ პროვოკაციულ კითხვებს?

**— რატომ ვსვამ პროვოკაციულ კითხვას? ირაკლი ალასანიას ეთერი „რუსთავი 2“-ში სხვა რა იყო?**

– მერე ვინ მონათლა პრორუსულად ხელისუფლება? ამოიღეთ ეს განცხადებები, წაიკითხეთ და მერე დამიკავშირდით...

**სანამ მთავარ საკითხს დავუბრუნდებოდი და ვიქტორ დოლიძეს ვკითხავდი, — თუკი ეს ხელისუფლება ცილისმწამებელი, მატყუარა და თავხედია, რაღას ელოდებიან? რატომ არ იწყებენ მის შესაცვლელად ბრძოლას? — ტელეფონი გამითიშა და კითხვის დასმა არ დამაცადა.**

არადა, არჩევნების წინ „თავისუფალი დემოკრატები“ ასეთ ხელისუფლებას არ დაჰპირებიან ხალხს, პირიქით, ზნეობრივი და დემოკრატიული ხელისუფლებით გაოცებას ჰპირდებოდნენ. „თავისუფალი დემოკრატები“ იმდენად პრინციპულიც კი არ აღმოჩნდნენ, რომ საკუთარი თავი დაეცვათ, მხოლოდ ცილისწამებაში დასდეს ხელისუფლებას ბრალი, მაგრამ ერთხელ არ დასცდენიათ, ეს ხელისუფლება შესაცვლელიაო, ერთხელ არ მოუწოდეს თავის ამომრჩეველს, რომ დროა, ეს დამნაშავეები მოვიცილოთ, სანამ ქვეყანას დაღუპავენ და ამისთვის ბრძოლას ვიწყებთო. პირიქით, როგორც ამბობენ, ხელისუფლებასთან გარიგებები და კულუარული მოლაპარაკებები დაუწყიათ...

ნეტავ, რა ხდება? კარგი, მე რაღაც მომეყურა, მაგრამ მთელი საქართველო დაყრუვდა? ირაკლი ალასანია არ იყო, 2 დღე იმას რომ გაიძახოდა, ხელისუფლება პროდასავლურ კურსს ღალატობს და მას უხვევსო? იმ „რუსთავი 2“-ის ეთერში ალასანია არ სდებდა ბრალს ხელისუფლებას, რომ პროდასავლურ კურსს გადაუხვია? მისმა გადამდგარმა მინისტრებმაც იგივე არ დაადასტურეს იმ ბრიფინგებზე? იმ პროდასავლური კურსის ღალატი სხვა რა არის, თუ არა პრორუსულობაში ხელისუფლების დადანაშაულება? იქნებ ვიქტორ დოლიძემ განგვიმარტოს, საქართველოს ხელისუფლება თუ პროდასავლურ კურსს ღალატობს, ეს თავისთავად ნიშნავს თუ არა ამ კურსის რუსეთის მიმართულებით გააქტიურებას, თუ საქართველოს შეიძლება სხვა საგარეო კურსიც ჰქონდეს — პრობანგლადეშური ან პროლიბერიული? ამ კითხვების დასმაც მინდოდა ვიქტორ დოლიძისთვის, მაგრამ ვინ დაგაცადა?

და აქვე, კიდევ ერთხელ მინდა მივუბრუნდე ირაკლი სესიაშვილს, ევროპული კურსის ღალატს რომ გაბრალებენ და ამ ბრალდებებით ლამის, მსოფლიო პრესა აჭრელდა, უსაფრთხოების ექსპერტმა კაცმა არ იცი, ეს ქვეყნისთვის რამხელა საფრთხეა? არ იცი, რომ დასავლეთელი პარტნიორები ამრეზით დაგვიწყებენ ყურებას და ინვესტორებიც ხელს ჩაიქნევენ და ქვეყანა ერთ ადგილას „გაიყინება“? თუ მართალი ხარ, რა დროს პოლიტიკა და დილომატიაა, რას ინდობ ამ ხალხს, ადექი და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვი, სანამ ქვეყანა თავზე დაგვემხობა.

თამარ ოქრუაშვილი
ლევან ჯავახიშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მსახიობი გურამ ფირცხალავა გარდაიცვალა



გურამ ფირცხალავა 6 ნოემბერს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა. მსახიობი ავადმყოფობდა და რამდენიმე თვე ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. (ნიუპოსტი)

„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და თანაუგრძნობს მის ახლობლებს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები



შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით, კერძოდ:

2014 წლის ოქტომბერი 469 930 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე -2,4%-ით ნაკლებია. რაც შეეხება იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 657 525 ვიზიტი განხორციელდა, რაც 1,7%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი – 1 932 492 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 41,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 9%);

ბ) ტრანზიტი – 938 667 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 20,1%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -8%);

გ) სხვა – 1 786 366 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,4%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -0,1%).

2014 წლის ოქტომბერში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-11%), აზერბაიჯანიდან (+7%), სომხეთიდან (+4%), რუსეთიდან (+2%) და უკრაინიდან (-13%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ოქტომბერშიც კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა, პოლონეთი, ლატვია, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები (შესაბამისად, 83%, 32%, 23%, 12% და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (37%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი – ბელორუსის მოქალაქეები 49% მატებით. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებასა და დიდ ღალატს

## ორივე შემთხვევაში, ეს არის დანაშაული!.. ერთიც და მეორე მხარეც რაღაცას გვიმალავთ!..



**„დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილს ძალიან კარგად ახსოვს ალასანიას ცნობილი სატელეფონო ჩანაწერი, მაგრამ ბევრ ასეთ შემთხვევაზე თვალი დახუჭა როგორც ირაკლი ალასანიას მიმართ, ასევე კოალიციაში ზოგიერთი სხვა პოლიტიკოსების მიმართაც. შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ ცდილობდნენ კოალიციის შენარჩუნებას, მაგრამ დრო მაინც ცუდად იყო შერჩეული“**

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ალასანიას ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური უწოდა. ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ალასანია არის ცბიერი, არათანმიმდევრული და არასანდო პოლიტიკური პარტნიორი. ჩვენ ეს კარგა ხანია აღმოვაჩინეთ და ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როცა ივანიშვილმა ის ტყუილში გამოიჭირა, ვწერდით, რომ ალასანია, სავარაუდოდ, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შევიდა გარიგებაში, სხვა შემთხვევაში გამორიცხული იყო, ახალაიასთან ზუგდიდში ასეთი მარცხი განეცადა. ბუჩქი რომ დაესახელებინათ „ქართული ოცნების“ წევრებს ზუგდიდის მაჟორიტარ კანდიდატად, როლანდ ახალაიას ისიც კი მოუგებდა, მით უფრო ციხის სკანდალური კადრების შემდეგ, ასეთი სასტიკ რეჟიმს სწორედ ახალაიების კლანმა დაუდო საფუძველი.

ბიძინა ივანიშვილს ალასანიას ცბიერი ხასიათი, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია და დახურულ თათბირზე საგანგებოდ დასაჯა. ყოფილმა პრემიერმა მაშინ უთხრა, აქ არ არის ადგილი, კაცურად გაგირჩიო საქმე, თუმცა შენ მოიქეცი არაკაცურად, შენს თავზე აიღე სამეგრელოში საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა და სამარცხვინოდ დამარცხდი 7 რეგიონში, რომ აღარაფერი ვთქვათ ზუგდიდის რაიონზე, სადაც კენჭს იყრიდი. მილიონები გადმოგირიცხე და ვერ დამისაბუთე, სად წავიდა ეს ფულიო. ივანიშვილმა მაშინ ის ვიცე-პრემიერის პოსტიდან გაათავისუფლა, თუმცა ყველაზე სტრატეგიულ სამინისტროში მაინც დატოვა. გაუგებარია, თუკი ხელისუფლებამ იცოდა, რაზე იყო წამსვლელი ირაკლი ალასანია, თუკი ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა მასთან სერიოზული პრეტენზიები იმ ამბიციურ ალასანიაზე, რომელსაც თავი მოაზრებული ჰყავდა ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად, რატომ მიუშვეს პოსტზე? ასევე გვაქვს კითხვები... ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც შოკში ჩავარდა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ჯარისკაცები მოიწამლნენ, დასვა ლოგიკური კითხვა, კი მაგრამ, რას ნიშნავს ჯარისკაცები მოიწამლნენ, რა, შევარდნაძის დროა? რას ნიშნავს, რომ ამ საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ამ ფრაზებიდან გავიდა წელიწადზე მეტი... თუმცა პროკურატურას ალასანიას კორუფციული გარიგებები მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მან გადაწყვიტა, რომ კვლავ საკუთარ პარტიას ჩასდგომოდა სათავეში. ერთია, რომ ალასანიამ იჩქარა და ანტისახელმწიფოებრივი განცხადება გააკეთა, როგორც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, რომლის გუნდსაც ებარა საქართველოს საგარეო პოლიტიკა, თითქოს ხელს უშლიდა ვიღაც ჩრდილოატლანტიკური კურსისკენ მიმავალ გზაზე. მას არ ეყო ნებისყოფა და ძალა, გნებავთ, ვაჟკაცობა, დაესახელებინა კონკრეტული პიროვნება და ამის შემდეგ გადამდგარიყო. მან პრემიერ-მინისტრი დილემის წინაშე დააყენა და თავი მოახსნევინა, რითაც მან სააკაშვილის ოცნების აღსრულებას დაუდო საფუძველი და შექმნა პოლიტიკური კრიზისი.

ეს პარლამენტი გაზაფხულზე აუცილებლად დაიშლება და გამოცხადდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რაც ნამდვილად არ იქნება ქვეყნისთვის კარგი, არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად. ჩვენ კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ დასავლეთს, რომ ეს არის ჯუნგლების ქვეყანა, სადაც პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსები კი არ მართავენ ქვეყანას, არამედ ისინი ქვეყანას უყურებენ, როგორც საკუთარი ამბიციების სამიზნეს. ალასანია დასავლურ კურსთან აიგივებს საკუთარ თავს და ის მზად არის, ყველა იმ ძალასთან ითანამშრომლოს, ვინც ამ გზით მიდის და მათ შორის ასახელებს „ნაციონალურ მოძრაობას“... ხოდა, მომისმინე! თუ არ გახსოვს ვინ არის „ნაციონალური მოძრაობა“, თუკი არ შეხებია მათი სასტიკი რეჟიმი შენს პიროვნებას, თუკი მათგან არ დაზარალებულხარ, თუკი შენი ნათესავი არ გაუუპატიურებიათ და არ მოუკლავთ, ალბათ, ვერ გაიგებ, რას წარმოადგენს ეს ძალა და მაშინ, საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლაზეც ნუ გექნება პრეტენზია. თუ დაგავიწყდა საკუთარი პოლიტიკური ბეგრაუნდები, ყველას გვახსოვს, როგორ იქცეოდი კრიტიკულ მომენტში. ერთი დღეც ვერ გაუძელი ქუჩაში დგომას, ერთი დაშტვენაზეც კი დაყარე ფარ-ხმალი და საშველად „გრეჩიხას“ დაუძახე... „კარვების ქალაქის“ იდეა ჩაშალე და მიშასთან კაბინეტური მოლაპარაკებები გამართე, „რვიანის“ ფორმატით დაიწყე და ვერ გაქაჩე, მერის არჩევნებში სამარცხვინოდ წააგე, გიგი უგულავას არჩევნები „გაუპრავე“, შენ კი გიხაროდა მეორე ადგილზე გასვლა, 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმისგან ჩახოცილ ქართველებს მეორეხარისხოვანი უძახე, გიგა ბოკერიასთან კონსულტაციები გამართე, „ნაცმოძრაობა“ შენს მზეს ფიცულობდა, ოღონდ ოქრუაშვილი არ მოვიდეს, ნინო ბურჯანაძემ არ გაიმარჯვოს, „ალასა“ ჩვენი ბიჭიაო და ყველა „ნაციონალი“ დარაზმე.

შენდა ბედად ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა და ჩათვალე, რომ ამერიკელები შენს გადასარჩენად ზრუნავდნენ. ივანიშვილს თვალებში ჩახედე და შენი მომავალი დაინახე. ფინანსური კრიზისის გამო პარტია გეშლებოდა და კოალიციაში შესვლის შემდეგ ამოისუნთქე. 80-ათასლარიან პრემიას იწერდი და არ გიკითხავს საკუთარი თავისთვის, რა გააკეთე საამისო. უკვე მერამდენედ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყე, მაგრამ ვერც ეს გაქაჩე... ჰოდა, როგორც ბადრიჯნისგან მერცხალი ვერ გამოვა, ასე შენგან ხელისუფალი ვერ შედგება. არ ხარ შენ ის კაცი, ირაკლი, რომელიც ხალხის ხმას უსმენს, შენ გაექეცი პასუხისმგებლობას და ამით დაამტკიცე, რომ დამნაშავე ხარ. როცა ამბობ, ჩემს ბიჭებს დანაშაული არ ჩაუდენიაო, ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეს, რომ „არასოდეს არ უნდა თქვა – არასოდეს“, არც ის უნდა გესწავლებოდეს, რომ ისინი შენი ბიჭები არ არიან, ეს ბიჭები ეკუთვნის საქართველოს და ისინი დგანან ქვეყნის სადარაჯოზე და თუკი ამხელა სისტემაში ვინმეს გადაცდომა მოუვიდა, ეს სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაარკვიონ. რატომ არ გენდობიან, ირაკლი? მაგრამ მე გამკვირვებია პრემიერ-მინისტრის განცხადების, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეკეთებინა ის განცხადება, რაც გააკეთა. მე მინდა მყავდეს რესპექტაბელური ხელისუფლება, თავშეკავებული, გაწონასწორებული, წინდახედული და კვალიფიციური, რომელიც არ იკადრებს, რომ მის ყოფილ მინისტრს უჭკუო და ავანტიურისტი უწოდოს, რომელიც არ იტყვის, რომ მისი ყოფილი კოლეგა შემჩნეული იყო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსში. თუკი ასეთი რამ ხდებოდა, თუკი პრემიერმა იცოდა, რომ ის მფარველობდა „ნაციონალებს“, დაწყებული გიგი უგულავათი და ბოკერიათი დასრულებული, მას უფრო ადრე უნდა მიეღო ალასანიას გადადგომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. ამას დიდი მიხვედრილობა არ უნდოდა, რომ ალასანია მფარველობდა „ნაცმოძრაობას“, სააკაშვილის ვადის ამოწურვის



შემდეგ მან განაცხადა, – ჩვენ უნდა მივუტევოთ „ნაციონალურ მოძრაობას“ ის დანაშაულები, რაც მათ ჩადენილი აქვთ, სხვაგვარად წინ ვერ წავალთო. არა, ჩემო ირაკლი, ვიდრე არ აღდგება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა და არც თქვენ გაქვთ ექსკლუზივი 3 მილიონ 600 ათასი ადამიანის სახელით მიიღოთ გადაწყვეტილება და მიუტევოთ მათ, კანონი უზენაესია და ყველა კანონს უნდა ემორჩილებოდეს. ასევე გაუგებარია ჩემთვის, რატომ ითმენდით, რატომ დუმდით 2 წლის განმავლობაში, თუკი ქვეყნის პროდასავლურ გზაზე ვიღაც გეწინააღმდეგებოდათ, ორივე შემთხვევაში, ეს არის დანაშაული!.. ერთიც და მეორე მხარეც რაღაცას გვიმალავთ, ამიტომ კეთილი ინებეთ, გახსენით ფრჩხილები და უფრო მეტი სინათლე შემოიტანეთ ამ ბუნდოვან საქმეში.

**„ალია“ ექსპერტ მამუკა არეშიძესთან ერთად კონკრეტული საკითხების გარკვევას შეეცდება:**

**— თუკი ირაკლი ღარიბაშვილი და ყოფილი პრემიერი ხვდებოდნენ, რომ ალასანია ლობირებდა „ნაცმოძრაობას“, თავის დროზე რატომ არ მოხდა ამ ძალის კოალიციიდან გაძევება?**

– ეს კითხვა აბსოლუტურად კანონიერია, მაგრამ ამავდროულად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არის რთული, შემიძლია ამ კითხვას ტრაფარეტულად ვუპასუხო, როდესაც გაირკვა კორუფციის ელემენტები, მოხდა სამართლებრივი რეაგირება. მაგრამ თუ უფრო შორს წავალთ გეტყვით, ირაკლი ალასანია რამდენჯერმე გააფრთხილეს დახურულ შეკრებებზე, ამის გარდა ის რეალურადაც დაისაჯა და დაკარგა ვიცე-პრემიერის პოსტი, მაგრამ სიტუაცია, სამწუხაროდ, უფრო ბევრად რთულადაა, ვიდრე ამ პასუხებით შეიძლება გამოჩნდეს. ამ კოალიციამ ერთად იბრძოლა 2012 წლის ოქტომბრის გამარჯვებისთვის, მარტივად პოლიტიკოსის გაწირვა, რომელიც შენი თანამებრძოლი იყო, ცოტა რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანიამ რამდენჯერმე შენიშვნა მიიღო და კიდეც დაისაჯა, მაინც რთულია გაწირო შენი თანამებრძოლი. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილს ძალიან კარგად ახსოვს ალასანიას ცნობილი სატელეფონო ჩანაწერი, მაგრამ ბევრ ასეთ შემთხვევაზე თვალი დახუჭა როგორც ირაკლი ალასანიას მიმართ, ასევე კოალიციაში ზოგიერთი სხვა პოლიტიკოსების მიმართაც. შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ ცდილობდნენ კოალიციის შენარჩუნებას, მაგრამ დრო მაინც ცუდად იყო შერჩეული. იმიტომ, რომ ამ მომენტისთვის ალასანია იმყოფებოდა ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრებზე გერმანიასა და საფრანგეთში.

**— რამდენად მნიშვნელოვან შეხვედრაზე იმყოფებოდა ალასანია?**

– ეს კითხვა არის მთავარი, როცა ამ კითხვას მისვამენ, პირამიდის წვერზე ვაქცევ ამ შეხვედრის შინაარსს, რომელიც მე არ ვიცი.

**— ჩვენთვის ცნობილია, რომ ალასანია შეხვდა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრს, სადაც ლაპარაკი იყო თავდაცვითი ტიპის იარაღის შესყიდვაზე. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს თავდაცვითი პოტენციალის გა-**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

*მეშვიდე გვერდიდან*

**ძლიერებას, ეს არის რუსეთი. მაშ ასე, იგულისხმა თუ არა ირაკლი ალასანიამ პროდასავლური კურსიდან გადახვევაში ამ ვიზიტის მნიშვნელობა, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაიშალა. ხომ არ გაქვთ ეჭვი, რომ ალასანიას ამ გარიგებას ეწინააღმდეგებოდა კონკრეტული ჯგუფი ხელისუფლებაში, ვინც რუსეთის ინტერესი გაატარა, ვიზიტი ჩაშლილიყო და საქართველოს საფრანგეთში არ შეესყიდა იარაღი.**



მის გამოძიება და მინისტრს არ შეუთანხმა, ისე დააკავა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, ამის არ მჯერა.

**— როგორ ფიქრობთ, კაბელების საქმით რატომ დაიწყო პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება მაშინ, როცა ამას წინ უძღოდა ჯარისკაცების მოწამვლა და არასწორი ტენდერები. ჯერ კიდევ ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა დასვა კითხვა, — რა ხდება ქართულ ჯარში, რატომ იწამლებიან ჯარისკაცები, შევარდნაძის დროა?!. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. გამოძიებამ ამ საკითხზე შედეგი მხოლოდ ახლა დადო.**

– მართალი ხართ, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები გაცილებით ადრე მოხდა და პროკურატურას შედეგი ამაზე უფრო ადრე უნდა დაედო. რაც შეეხება კაბელების საქმეს, ჩვენ ვიცით, რომ კორუფციული სქემა არსებობდა, მაგრამ ვერ გავიგეთ, ამდენი ხანია ის ოთხი მილიონი მოპარულია თუ მოპარვას აპირებდნენ. იქ დაკავებულია ორი ადამიანი, რომელსაც გაყიდვების სამსახურთან შეხება არ აქვთ, მათ შორის არის ომის ვეტერანი, უვამიუშვეს ამდენი ხნით ალასანია თავის ნებაზე. მას იმდენი გადაცდომა ჰქონდა დაშვებული, რომ მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უფრო ადრე შეიძლებოდა, რომ აქამდე არ მისულიყო საქმე. ის, რომ ალასანიამ ბევრჯერ სცადა დამოუკიდებელი თამაშის წამოწყება, ეს მისი მხრიდან იყო უსერიოზულესი შეცდომა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ალასანია შეგნებულად მიდიოდა განხეთქილებაზე, ხშირ შემთხვევაში საქმის კურსში არ იყო ხელმძღვანელობა, რას აკეთებდა ირაკლი ალასანია. თავდაცვის სამინისტროს ხელისუფლებისგან დისტანცირებას ახდენდა.

**— გაჩნდა ეჭვი, რომ ირაკლი ალასანიას დამოუკიდებელმა თამაშებმა დააჩქარა აფხაზეთსა და რუსეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შეთანხმება, რომელსაც, სავარაუდოდ, დეკემბერ-იანვარში მოეწერება ხელი...**

– ნატოს საწვრთნელი ბაზების განთავსების თემამ, შეიძლება ითქვას, კატალიზატორის როლი შეასრულა. ეს გადაწყვეტილება იყო თუ არა მაც თავის საქმე, პრაქტიკულად, შეასრულა, ამით „ნაციონალების“ წისქვილზე დაასხა წყალი. ის, რომ ალასანია გარკვეულ ურთიერთობებს ინარჩუნებდა „ნაცმოძრაობის“ წევრებთან, ამაზე ბევრი მსმენია და არსებობს ფაქტები, როცა ალასანია და ბოკერია ხვდებოდნენ, როცა



**„გამკვირვებია პრემიერ-მინისტრის განცხადების, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეკეთებინა ის განცხადება, რაც გააკეთა. მე მინდა მყავდეს რესპექტაბელური ხელისუფლება, თავშეკავებული, გაწონასწორებული, წინდახედული და კვალიფიციური, რომელიც არ იკადრებს, რომ მის ყოფილ მინისტრს უჭკუო და ავანტიურისტი უწოდოს, რომელიც არ იტყვის, რომ მისი ყოფილი კოლეგა შემჩნეული იყო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსში. თუკი ასეთი რამ ხდებოდა, თუკი პრემიერმა იცოდა, რომ ის მფარველობდა „ნაციონალებს“, დაწყებული გიგი უგულავათი და ბოკერიათი დასრულებული, მას უფრო ადრე უნდა მიეღო ალასანიას გადადგომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება“**

**„თუ დაგავიწყდა საკუთარი პოლიტიკური ბეგრაუნდები, ყველას გვახსოვს, როგორ იქცეოდი კრიტიკულ მომენტში. ერთი დღეც ვერ გაუძელი ქუჩაში დგომას, ერთი დაშტვენაზეც კი დაყარე ფარ-ხმალი და საშველად „გრეჩიხას“ დაუძახე... „კარვების ქალაქის“ იდეა ჩაშალე და მიშასთან კაბინეტური მოლაპარაკებები გამართე, „რვიანის“ ფორმატით დაიწყე და ვერ გაქაჩე, მერის არჩევნებში სამარცხვინოდ წააგე, გიგი უგულავას არჩევნები „გაუპრავე“, შენ კი გიხაროდა მეორე ადგილზე გასვლა, 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმისგან ჩახოცილ ქართველებს მეორეხარისხოვანი უძახე, გიგა ბოკერიასთან კონსულტაციები გამართე, „ნაცმოძრაობა“ შენს მზეს ფიცულობდა, ოღონდ ოქრუაშვილი არ მოვიდეს, ნინო ბურჯანაძემ არ გაიმარჯვოს, „ალასა“ ჩვენი ბიჭიაო და ყველა „ნაციონალი“ დარაზმე“**

– მართალი ბრძანდებით, ამაზე იყო ლაპარაკი, კონკრეტულად კი, იარაღის შეძენაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრების ისტორიაში, პირველად იყო, როცა ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა საქართველოს თავდაცვის მინისტრს საფრანგეთის თავდაცვის მინისტრთან და თუ არ ვცდები, ასევე გერმანიის თავდაცვის მინისტრთან. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ვიზიტები. მრჩება შთაბეჭდილება, სწორედ იქ მოხდა ისეთი რამ, რამაც კოალიციის ხელმძღვანელობა აიძულა, რომ ამ ყველაფერს წერტილი დასმოდა. ის ვილაც ვინ არის, მე არ ვიცი, თუმცა, ძალიან მინდა ვიცოდე. არ ჯდება ლოგიკაში, რომ პროკურატურის მხრიდან ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება მიღებულიყო სწორედ მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე. ირაკლი ალასანიამ ბევრ შემთხვევაში ითამაშა დამოუკიდებელი თამაში, თუნდაც სირიელი მეამბოხეების სავარაუდო ბაზის მოწყობაზე, თუნდაც ნატოს საწვრთნელი ბაზების თაობაზე, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებით, რაზეც თქვენ კითხვას მისვამთ, არ მგონია, ალასანიას დამოუკიდებელი თამაში გაებედა, ისე წასულიყო საფრანგეთსა და გერმანიაში, პრემიერ-მინისტრს არ სცოდნოდა, რა თემაზე მიდიოდა ის. ვფიქრობ, პრემიერმა იცოდა, მისი ვიზიტის შესახებ, მაგრამ იქ მოხდა ისეთი რაღაც, რამაც ეს გადაწყვეტილება მიაღებინა. ის, რომ პროკურატურამ ალასანიას ვიზიტის მომენტში დაამთავრა საქჟკაცესი კაცი – კაიშაური. ეს პიროვნება კავშირგაბმულობიდან არის, რომელიც აძლევს შეკვეთას შესყიდვების სამსახურს და ისინი ასრულებენ. მე ვერ ვიტყვი იმას, რომ არ იყო კორუფციული სქემა, ესეთი კორუფციული სქემები თითქმის ყველა სამინისტროში სხვადასხვანაირი ფორმით არსებობს, ოღონდ, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებობით, ამ მასშტაბით არა. ბევრი ჩინოვნიკი ცდილობს რაღაცნაირად მოციცქნოს სახელმწიფოს ფული, ბევრი ვერ ახერხებს ამას, მაგრამ შეიძლება თავდაცვაში მართლაც იყო ასეთი რამ, მე არ ვიცი, თუმცა, მთავარი კითხვაა, გაგვაგებინონ, მოიპარეს ფული, თუ ვერ მოასწრეს ფული მოპარვა. გასაგებია, რომ ძიების პროცესია, მაგრამ რაღა იმ დროს მოხდა ეს ყველაფერი, როცა ალასანია იმყოფებოდა მნიშვნელოვან ვიზიტზე. რაც შეეხებ ჯარის კვების ამბავს, თქვენს გაზეთშიც დაიწერა, რომ ეს საქმე გამოძიებული იყო სამხედრო პოლიციის მიერ და გადასცეს პროკურატურას. ვიცი, რომ მიმდინარეობდა დაკითხვებიც, საქმე იყო გამოძიებული, თუ არ ვცდები, გადაწყვეტილებაც იყო მიღებული. თქვენ სწორი კითხვა დასვით, რატომ თავად პრემიერთან შეთანხმებული, არ ვიცი, თუმცა ირაკლი ალასანიას განცხადების შემდეგ ღარიბაშვილმა ეს უარყო.

**— და მაინც, ირაკლი ალასანია რომ განხეთქილებაზე შეგნებულად მიდიოდა, ამის მანიშნებელი თქვენთვის რა იყო?**

– ბოლო დღეებია ირაკლი ალასანია ხაზს უსვამს, რომ მან მოახდინა სამინისტროს დეპოლიტიზაცია. ამ დროს ჩვენთვის სამი კვირით ადრე ცნობილი ხდება, რომ დანიშნა პარტიის ყრილობა 8 ნოემბერს, სადაც ირაკლი ალასანია ისევ უნდა გახდეს პარტიის თავმჯდომარე. 9 ნოემბერს კი ჩვენ მივიღებდით თავდაცვის მინისტრს, რომელიც არის კონკრეტული პარტიის თავმჯდომარე. ამას მართალია კანონი არ კრძალავს, მაგრამ მაშინ, რომელ დეპოლიტიზაციაზეა ლაპარაკი? მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ 8 ნოემბერს ირაკლი ალასანია არა მხოლოდ პარტიის თავმჯდომარეობის აღდგენას აპირებდა, არამედ ის აპირებდა კონკრეტულ პოლიტიკურ განცხადებებს. ამიტომაც გამიმყარდა ეჭვი, რომ ის შეგნებულად მიდიოდა განხეთქილებაზე. მან გააკეთა ისეთი პოლიტიკური განცხადება, რომელბოკერია უშიშროების საბჭოს მდივანი იყო. ასევე, ის ურთიერთობდა გიგი უგულავასთან.

**მამუკა არეშიძესთან ინტერვიუს დასრულებისთანავე სოციალურ ქსელში გამოჩნდა გიგი უგულავას წერილი, სადაც მიმართავს ალასანიას:**

...მინდა მივმართო ირაკლი ალასანიას და „თავისუფალ დემოკრატებს“ – მეგობრებო, ჩვენ ვერასდროს შევთანხმდებით წარსულის შეფასებებში, ვერც შევჯერდებით ამა თუ იმ ლიდერის მოღვაწეობაზე. მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის ვიამაყებთ ჩვენი ქვეყნის იმ მიღწევებით, რომლის შექმნაში მონაწილეობაც ქართველმა ხალხმა გვარგუნა წილად. ჩვენ შევეცდებით შეცდომების გათვალისწინებას და საუკეთესო გამოცდილების, ქვეყნის მომავლის შენებაში გამოყენებას. ამ იდეალების ერთგულების გამო ჩვენ შეგნებულად ციხეში წავედით, ნაწილი კი პოლიტდევნილია უცხოეთში. თქვენთვის ეს ყოველთვის ყბადაღებულ „ცხრა წელიწადად“ დარჩება, ჩვენთვის პირიქით, ყოველთვის სამარცხვინო იქნება თქვენი საქმიანობის ის ორი წელიწადი, როცა ოლიგარქ ივანიშვილის სიძულვილის ენისა და პოლიტიკური შურისძიების ლამაზ ფასადს წარმოადგენდით. დუმდით ყველა უკანონობაზე, მანამ სანამ ის თავად თქვენ ორლესული მახვილით არ შეგეხოთ. ამავე დროს დარწმუნებული ვარ, თქვენ ამაყობთ და მუდამ იამაყებთ, განვლილი ორი წელიწადით და მიღწეული წარმატებით. ამიტომ როგორც ძველ მეგობარსა და ერთ დროს კონკურენტს გთავაზობთ, ნუ ვიდავებთ წარსულზე, რაზეც ვერასდროს შევთანხმდებით, რადგან დღეს ამის დრო უკვე აღარ არის. ცალსახად ვხედავთ რომ წყალში იყრება დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების გზაზე მთავარი მონაპოვარი. საქართველოს მოქალაქეების ევროპული არჩევანი...“

**გიგი უგულავა, ივანიშვილის პირადი პატიმარი, თბილისი, მატროსოვის ციხე.**

მაშ ასე, შეთავაზება გაკეთებულია, მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დამხობით იმუქრება, წყალგამყოფი ალასანიამ გაავლო, ის შეეცადა, გამოეკვეთა პროდასავლური და პრორუსული დაჯგუფებები, ჯერჯერობით თავდაცვის ყოფილი მინისტრი ვერ ასახელებს კონკრეტულ ფიგურას, ვინ ეწინააღმდეგება პროდასავლურ კურსს, მაგრამ მავრმა თავისი საქმე შეასრულა.

გახდება თუ არა ალასანია „ნაციონალური მოძრაობის“ ოცნებების ამსრულებელი? რა იმალებოდა ალასანიასა და მისი გუნდის დამშვიდობების ტექსტის მიღმა, – „მშვიდობით არა, ნახვამდის, ჩვენ დავბრუნდებით“? რა გზავნილი გაუგზავნა დასავლეთს რეინტეგრაციის ყოფილმა მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა, შევარდნაძის პაროდიით: „ახლოვდება დიქტატურა, დემოკრატია საფრთხეშია, მე გადავდექი!..“ ამ ყველა კითხვას პასუხი 15 ნოემბერს გაეცემა და იმ მთავარ კითხვასაც, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებასა და დიდ ღალატს.

**P.S. მე კი მრცხვენია, რომ ქვეყანას მართავდნენ და მართავენ არა პოლიტიკოსები, არამედ ნაძირალები, ვისთვისაც სიტყვა „პატრიოტიზმი“ უკანასკნელი თავშესაფარია!**

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ყვარლის პოლიციის უფროსს მოქალაქის ცემაში ადანაშაულებენ




ყვარელში მცხოვრები ილია ზაუტაშვილი რაიონის პოლიციის უფროსს ცემაში ადანაშაულებს. მისი თქმით, გიორგი რევაზიშვილი საკუთარ კაბინეტში მას სასტიკად გაუსწორდა. როგორც ზაუტაშვილი იხსენებს, ინციდენტი სამართალდამცავების მიერ მისი და მისი მეგობრის ნარკოლოგიური შემოწმების ფაქტს მოჰყვა. დაზარალებულის თქმით, შემთხვევის დროს რევაზიშვილი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„მკითხა, ვიყავი თუ არა ნასამართლები და ვუთხარი, რომ ადრე ვიყავი. აგრესიული ტონით მელაპარაკებოდა, შემდეგ მოვიდა და ცემა დამიწყო. მემუქრებოდა, რომ აქედან წავსულიყავი, თორემ მთელ ცხოვრებას ციხეში გავატარებდი“. – განაცხადა ზაუტაშვილმა. ზაუტაშვილმა პროკურატურას სარჩელით უკვე მიმართა. მომხდარზე მოკვლევა კახეთის სამხარეო პოლიციამ დაიწყო. გიორგი რევაზიშვილი მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარიკა ვერულაშვილი ფრაქციას ქმნის



„ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებით, პარლამენტში არსებობს იმის რესურსი, რომ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა შენარჩუნდეს. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის ლიდერებს არ დაუკონკრეტებიათ, ვინ იგულისხმებოდა რეზერვში, უკვე ცნობილია, რომ „ოცნებას“ უმრავლესობის შენარჩუნებაში ყოფილი „ნაციონალები“ და ალასანიას ფრაქციის ახლა უკვე ყოფილი ორი წევრი თამაზ ჯაფარიძე და გელა სამხარაული მიეხმარებიან. თითქმის გადაწყვეტილია, რომ უმრავლესობის ორბიტაზე იქნება ყოფილი „ნაციონალი“ კახა ოქრიაშვილი. ასევე, ცნობილია ისიც, რომ მასთან მოლაპარაკებებს უშუალოდ დავით საგანელიძე აწარმოებს. „პირველი რადიოსთვის“ კი ექსკლუზიურად ცნობილი ხდება, რომ პარლამენტში ყოფილი „ნაციონალებისგან“ ახალი ფრაქცია იქმნება, რომელსაც სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელი და ყვარლის მაჟორიტარი მარიკა ვერულაშვილი უხელმძღვანელებს. საპარლამენტო კულუარებში ღიად საუბრობენ იმაზე, რომ სწორედ ეს ფრაქცია იქნება იმის გარანტი, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობას არ დაკარგავს. „პირველი რადიო“ შეეცადა მარიკა ვერულაშვილთან დაკავშირებას, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა (პირველი რადიო)

# რამაზ საყვარელიძე: „სიტუაციამ უკვე ისეთი სიმწვავე მიიღო, რომ ყველა მხარემ უკან დასახევი გზა მოუჭრა ერთმანეთს“

## რატომ შეხვდა ალასანია ევროკავშირის ელჩს და რა მოხდება, თუკი ის გამართლდება?

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია საქართველოში ევროკავშირის ელჩ იანოშ ჰერმანის შეხვდა, ხოლო შეხვედრის შემდეგ განაცხადა:

„ევროკავშირის ელჩთან შეხვედრაზე ვისაუბრეთ ბოლო პერიოდში პროკურატურის მხრიდან პოლიტიკური ნიშნით, ჩემს, როგორც თავდაცვის მინისტრისა, და ზოგადად, „თავისუფალი დემოკრატების“ წინააღმდეგ წარმოებულ იერიშზე, რაც ჩვენი მხრიდან ჩათვლილია, რომ ხდება მიზანმიმართულად, რათა დაზიანდეს ჩვენი ქვეყნის საგარეო იმიჯი და ხელი შეეშალოს იმ მიზნების შესრულებას, რაც დასახული აქვს ქვეყანას, ევროატლანტიკურ სივრცეში სრული ინტეგრაციისთვის...

როგორც ელჩმა აღნიშნა, ისინი დაინტერესებული იქნებიან, გამოძიება წარიმართოს ღიად, მაგრამ ღიად ვერ მიმდინარეობს - ადვოკატებს არ აქვთ საქმის მასალები. აქედან გამომდინარე, ეჭვები, რომელიც დღითი დღე მყარდება, საქართველოს აზიანებს. არავის მივცემ საშუალებას, შებღალოს როგორც იმ სამხედროებისა და სამოქალაქო პირების იმიჯი და სახელი, ვინც დღეს დაკავებულია, ისე ჩემი პატივი და ღირსება. ამიტომ ამ საქმეს მე ბოლომდე მივყვები. საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან ყურადღებით იქნება ამ კუთხით, ისევე, როგორც დღეს განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტმაც. ეს ყველაფერი ძალიან მახინჯ და ცუდ ფორმას მიიღებს, თუ არ მოხდება გამოძიების ღიად წარმართვა“.

რატომ მოუხშირა ალასანიამ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრებს? რისი მიღწევა სურს ამ შეხვედრებით? რატომ თვლის ექსმინისტრი, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, ქვეყნის საგარეო იმიჯს დააზიანებს?

„ალიას“ პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრა:

**— ბატონო რამაზ, ირაკლი ალასანია ჯერ ამერიკის ელჩს შეხვდა, შემდეგ კი — ევროკავშირის. რა მიზნით ხვდება, რის მიღწევას ცდილობს?**

– ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ დახურულ კარს მიღმა ალასანია არწმუნებდა დასავლეთის პარტნიორებს, რომ მისი ფრაზა საგარეო ვექტორის შეცვლის შესახებ იყო ემოციურ ნიადაგზე ნათქვამი და არ შეესაბამება რეალობას, მაგრამ, თუ აღმოჩნდა ისე, რაც ალასანიამ კომენტარში გააკეთა, მაშინ, ალბათ, ძალიან მძიმე ფაქტთან გვაქვს საქმე. საზოგადოება ძალიან კრიტიკულად აღიქვამდა იმას, როცა უცხოეთში რომელიმე პოლიტიკოსი ქართულ სინამდვილეზე დაასველებდა ენას და როცა ქვეყნის კურსს აყენებ კითხვის ნიშნის ქვეშ მაშინ, როცა გიჯერებენ, ეს ძალიან მძიმე დანაშაულია.

**— შეგიძლიათ, ამიხსნათ, თუკი არსებობს დოკუმენტები, რომ მოხდა კორუფცია და გამოძიებამ დადო ასეთი დასკვნა, რატომ უნდა დაზარალდეს ქვეყნის იმიჯი? რატომ აიგივებენ „თავისუფალი დემოკრატები“ საკუთარ თავს ქვეყანასთან, დანაშაული თუ არსებობს, ამაზე ხმა არ უნდა ამოვიღოთ?**

– თუ აღმოჩნდა, რომ კორუფცია არის, გამოვა, რომ ეს პოლიტიკური განცხადება ყოფილა მასკირების ხერხი. ასეთ რამეს ხშირად იყენებენ ხოლმე დანაშაულის გადასაფარად, მაგრამ აქაც არის საზღვარი. როცა ქვეყნის პოლიტიკას იყენებ და სახელმწიფო იმიჯს წირავ იმისთვის, რომ დანაშაული გადაიფაროს, ეს კიდევ უფრო უარესი დანაშაულია, ვიდრე ფულის გაფლანგვა. სიტუაციამ უკვე ისეთი სიმწვავე მიიღო, რომ ყველა მხარემ უკან დასახევი გზა მოუჭრა ერთმანეთს. ახლა ხელისუფლებასაც არ აქვს უკან დასახევი გზა და უნდა მიიყვანოს მთელი ეს ბრალდების პროცესი ბოლომდე, რადგან მე ვიცი, რომ ხელისუფლება ერთხანს ცდილობდა ალასანიას ზოგიერთ შეცდომებზე თვალების დახუჭვას, მიჩქმალვას და უნდოდა ხელშეუხებელი დაეტოვებინა. ეს ბუნებრივია, როცა გუნდის წევრი შეცდომას დაუშვებს, ცდილობ, ეს შეცდომა თვალშისაცემი არ იყოს. ახლა უკან დახევა გამორიცხულია, უკვე ალასანია შეურიგებელია. მოდით, ასე ვთქვათ: თუ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში იყო ნიშნები, რომ ქვეყნის ორიენტაცია სხვა მხარეს იცვლება, ეს მაინცდამაინც მაშინ შენიშნა თავდაცვის მინისტრმა, როცა მისი თანამშრომლები პროკურატურამ დააკავა?

**— აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც გააკეთა განცხადება, ეჭვობენ, რომ სასამართლო პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებაო. რატომ კეთდება გამოძიების დასრულებამდე ასეთი განცხადებები? ასე ცალსახად რატომ უჯერებენ ალასანიას, ისევე, როგორც აქამდე „ნაციონალებს“ უჯერებდნენ?**



„სააკაშვილი მარტო შიდა ფრონტზე კი არ იბრძოდა, ამერიკას არ ეპუებოდა და ნახულობდა მის სუსტ წერტილებს, რომ დაერტყა. ესაა პოლიტიკა და არა ის, მე კარგი ბიჭი ვიქნები და შენ ხუთიანი დამიწერეო“

– დასავლეთის უამრავი განცხადება გვინახავს ამ ხნის მანძილზე, სადმე გინახავთ ისეთი ფრაზა, რომელსაც ჩვენი პოლიტიკოსებისგან ვითხოვთ ხოლმე, რომ თუ ჩახედული არაა ბოლომდე სიტუაციაში, ვერსია თქვას, მორიდებით თქვას. ეს არის დარწმუნებული ტონი მათი მხრიდან და მიაჩნიათ, რომ რასაც ამბობენ, ეს არის სწორი. ისინი უმეტესწილად, როცა საქმე აქვთ ჩვენნაირ ქვეყანასთან, თვლიან, რომ, რასაც ხედავენ, ისაა ჭეშმარიტება. დასავლეთი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, უშეცდომო არ არის, მაგრამ ჩვენი ბრალია, რომ ასეთი დამოკიდებულება გვაქვს მის მიმართ, მათ იდეალიზებას ვეწევით და ვამბობთ, რომ არ უნდა აღვშფოთდეთ მათ ტენდენციურობაზე.

**— ასეთი განცხადებების კეთება დასავლეთში შეიძლება ჩვენი საგარეო უწყების უმოქმედობას ან საბოტაჟს დავაბრალოთ? ხომ შეეძლოთ ეთქვათ დასავლეთის ქვეყნებისთვის, გამოძიების დასრულებამდე შეფასებებისგან თავი შეიკავეთო?**

– ვერ ვიტყვი, რომ საგარეო უწყება არ მუშაობდა, რადგან ბოლო ერთ წელიწადში საკმაოდ წარმატებული იყო. ჰქონდა მიღწევებიც, მაგრამ რამდენად საკმარისი იყო, ესაა საკითხავი. რა თქმა უნდა, გამოუცდელობაც იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რადგან მთელი ხელისუფლება გამოუცდელია. ისინი არ ითვალისწინებენ ზოგად ანტურაჟს და იმას, რომ უცხოელებიც ადამიანები არიან.

**— რას გულისხმობთ?**

– ვგულისხმობ იმას, რომ რესურსების გამოყენება სააკაშვილმა იცოდა კარგად, ის კარგად იყენებდა საგარეო კონტექსტს. მაგალითად, 2008 წლის ომი რომ დამთავრდა წარუმატებლად, სააკაშვილს დასავლეთი ხმას არ სცემდა, არც არსად იწვევდა, რა გააკეთა მიშამ? ირანთან გახსნა საზღვარი. როგორც კი დასავლეთში დაინახეს, რომ ამ პოლიტიკოსს შეუძლია იმის გაკეთება, რაც მათთვის საზიანოა, მაშინვე გული მოიბრუნეს. გულში რას ფიქრობენ, სულერთია, მაგრამ აშკარად შეიცვალეს ტონი და ამით სააკაშვილმა ისარგებლა. სააკაშვილი მარტო შიდა ფრონტზე კი არ იბრძოდა, ამერიკას არ ეპუებოდა და ნახულობდა მის სუსტ წერტილებს, რომ დაერტყა. ესაა პოლიტიკა და არა ის, მე კარგი ბიჭი ვიქნები და შენ ხუთიანი დამიწერეო. ეს სკოლა კი არაა.

**— ანუ ფიქრობთ, სააკაშვილის ტაქტიკას მიმართავს ალასანიაც?**

– უკვე იყენებს ამ ტაქტიკას. კიდევ უფრო აგრესიული იქნება ამიერიდან, ვიდრე აქამდე იყო. ეს პროცესები გაგრძელდება.

**— დაბოლოს, თუ აღმოჩნდა, რომ ალასანია გამართლდა და მართლა პოლიტიკურ დევნას ჰქონდა ადგილი, ამ დროს როგორ იქნება ხელისუფლების საქმე?**

– რა ფორმით, ვერ გეტყვით, მაგრამ უკან დახევას ველოდები. ამ ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა და როცა შეეშალა, უკან დაიხია. უკან დამხევი ხელისუფლება ჯობია, ვიდრე ამ შეცდომის მერე გზის გამგრძელებელი. თუ ასე მოხდა, ალასანიას რეიტინგი საგრძნობლად აიწევს, ისედაც არ აკლია ხალხისგან კრიტიკა და ძალიან კრიტიკული გახდება მოსახლეობა ხელისუფლების მიმართ.

**ჟანა ასანიძე**

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „პრემიერ-მინისტრმა სახე დაკარგა“



თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია პრემიერის განცხადებს ეხმაურება, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი მას „უჭკუო, ამბიციურ და ავანტიურისტულ“ მინისტრად მოიხსენიებს.

„ჩემთვის გულდასაწყვეტია, რომ ყველანაირ კორექტულობას გაცდა პრემიერ-მინისტრი. ჩემი აზრით, მართალი კაცები, ვისაც სახე აქვთ, სახეს არ კარგავენ. ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრმა სახე დაკარგა. მე მაინც მეძვირფასება ის ერთად გატარებული პერიოდი, ჩემს კოლეგებთან და მთავრობასთან ერთად და ბუნებრივია, მათ განცხადებებზე კომენტარს არ გავაკეთებ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ნაბიჯებმა, რაც გადადგა პროკურატურამ, ჩვენი გზები გაყო, მოვუწოდებ, რომ კორექტულობის ფარგლებში დარჩნენ. მგონია, რომ სახის დაკარგვა ჩვენი პრემიერ-მინისტრის მხრიდან ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. მე იგივეთი ვერ ვუპასუხებ, პატივს ვცემ ინსტიტუციებს. მე მინდა მას მოვუწოდო, რომ მეორეჯერ ასეთი რამ აღარ გააკეთოს. ეს არასწორია ჩემს მიმართაც, ქვეყნის მიმართაც და თავისი კოლეგების მიმართაც. დარწმუნებული ვარ მისი დღევანდელი განცხადება არ აღიქმება პოზიტიურად“. – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „არსებობს ეჭვები, რომ პროკურატურა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენება“



საფრანგეთის ელჩმა საქართველოში რენო სალენსმა ქვეყნის შიგნით უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენები შეაფასა.

„მე მსურს პატივისცემა გამოვხატო ბატონ ალასანიას, ფანჯიკიძისა და პეტრიაშვილის მიმართ, რადგან ისინი იყვნენ ჩვენი პარტნიორები და მუშაობდნენ საქართველოს დღის წესრიგზე. ჩემთვის მათთან ერთად მუშაობა ბედნიერება იყო. არსებობს ეჭვები იმის თაობაზე, რომ პროკურატურა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენება. შესაძლოა, ეს ეჭვები უსაფუძვლო იყოს, მაგრამ მათი გაქარწყლებაა საჭირო, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური მუშაობის უწყვეტობა, რადგან წესები ბევრ ქვეყანაში ირღვევა, ამ შემთხვევაში ქართველი ხალხის გადასაწყვეტია მინისტრებისა და ლიდერების არჩევა“, – განაცხადა სალენსმა. (ნიუპოსტი)

## რაში არ ეთანხმება ხიდაშელი პრემიერს?



უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი პრემიერ-მინისტრის განცხადებას ეხმაურება, სადაც ირაკლი ღარიბაშვილმა ალასანია უჭკუო და ამბიციურ მინისტრად მოიხსენია.

„მე არ მყავს უჭკუო და ავანტიურისტი მეგობრები, თან 24 წელი ასეთებთან მეგობრობა გაძნელდებოდა, არც ქვეყნის ღალატი და საბოტაჟნიკობა შემიმჩნევია. აი, პირიქით კი რამდენიც გინდათ. ქვეყნის სიყვარული, თავდადება, ერთგულება ულევი. ამბიციური კი კარგია“, – წერს ხიდაშელი. (ნიუპოსტი)

# თბილისში ახალი აფიორა „დაატრიალეს"

## რას უყვება „ალიას" სურსათის სააგენტოს წარმომადგენელი?

**რა ახალი აფიორის მონაწილენი ხდებიან თბილისელი ინდმეწარმეები? რატომ არ უნდა დაუშვან მათ თავის ტერიტორიაზე დეზინფექციის ჩამტარებლები და რას ამბობს „ალიასთან" სურსათის უვნებლობის სააგენტო?**

**„ალიას" ესაუბრება „ანტიკორუფციული კავშირის" ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:**



– რამდენიმე თვეა, ქალაქ თბილისში გამოჩნდა კონკრეტული შპს-ები, რომლებიც უკავშირდებიან ინდმეწარმეებს და სადეზინფექციო მომსახურებას სთავაზობენ. ამ ფირმების წარმომადგენლები მიდიან საზკვების ობიექტებზე, სუპერმარკეტებში 30-ლარიანი ხელშეკრულებებით ხელში და ინდმეწარმეს ეცნობიან, როგორც სადეზინფექციო სამსახურის წარმომადგენლები. ამას რომ იტყვიან, თან ერთმანეთში საუბრობენ, რომ ეს რა ხდება, რა უწესრიგობაა, როგორი ანტისანიტარიააო, ანუ მიდის ფსიქოლოგიური ზეწოლა მეპატრონეზე, ამის შემდეგ მეწარმეს ეუბნებიან, აქაურობა უნდა დავამუშაოთო და თან ასახელებენ მომსახურების ფასს.

**— შეგიძლიათ დაგვისახელოთ ამ შპს-ს სახელი?**

– ესაა შპს „სადეზინფექციო სამსახური – სუფთა სამყარო", მაგრამ ეს ერთჯერადი გადასახადი კი არაა, არამედ აფორმებენ ექვსთვიან ხელშეკრულებას ინდმეწარმესთან და შპს-ს თანამშრომლების ყველა მისვლაზე ეს თანხა ინდმეწარმემ უნდა იხადოს ამ ხნის მანძილზე. მაგრამ საინტერესოა, სინამდვილეში როგორ ხდება ე.წ. ტერიტორიის დამუშავება? მეწარმეების თქმით, ხსნარს კი ასხურებენ, მაგრამ იმედი რომ გვქონდა, ხსნარით დამუშავების შემდეგ მწერების მოსპობა მოხდებოდა, ნურას უკაცრავად, პირიქით, მოსხურებულ სითხეს იქით დაეხვა წვრილი ბურნაო. ანუ ეტყობა, წყალშია გახსნილი გარკვეული მჟავის შემცველი ხსნარი და იქით იზიდავს კიდევ სხვა მწერებს. სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცით ამ ხსნარის კონკრეტული ფორმულა და ახლა ვერ გეუბნებით, რა არის.

**— კი, მაგრამ კითხვა მაქვს: ეს ინდმეწარმეები რატომ თანხმდებიან ამ მომსახურებაზე, რაში სჭირდებათ შპს-სთვის ფულის გადახდა, როცა არსებობს სახელმწიფო სადეზინფექციო მომსახურება?**

– კი და ის მომსახურება ექვემდებარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ აქ ხდება ასეთი რამ: შპს-ები ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ ამ ინდმეწარმეებზე და ეუბნებიან, ახლავე ვაცნობებთ ამაზე სურსათის ეროვნულ სააგენტოსო, მაგრამ იქვე ამატებენ, ზედმეტი პრობლემები რომ აგაცილოთ, აგერ ვართ ჩვენ და უცებ მოგიგვარებთ პრობლემას, ჯარიმას აგაცილებთო და მეწარმეებიც თანხმდებიან. ვინც ჩვენ მოგვაწოდა ეს ხელშეკრულება, მას მაშინვე არ უნახავს, რომ იქ თურმე გრძელვადიან მომსახურებაზეა საუბარი.

**— ანუ გამოდის, ამ მეწარმეებს არ აქვთ მოწესრიგებული თავისი საქმე და თან კარგად არ კითხულობენ ხელშეკრულებებს, რაზეც ხელს აწერენ, ხომ?**

– გეთანხმებით, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას ვიღაცას, რომ ამ ხალხს ფული „შეაწეროს", ესაა შანტაჟისა და პროვოკაციის მექანიზმით მუშაობა. არ არის ეს ფულის გამოძალვის ხერხი ისედაც დატერორებული მეწარმეებისგან, რათა მათგან დამატებითი შემოსავლები მიიღონ? ჩემი აზრით, უნდა გავრცელდეს განცხადება, რომ ასეთი რამე ხდება და არავინ აჰყვეს ამ გამომძალველებს, არადა, თუ რეაგირება არ იყო, ხვალ და ზეგ ასეთი შპს-ები რიცხობრივად გაიზრდება. შარშან და შარშანწინ კანტიკუნტად იყო ასეთი შემთხვევები, როცა გარკვეული შპს-ები დადიოდნენ და ერთჯერადი მომსახურების ათლარიან ხელშეკრულებებზე აწერინებდნენ ხელს ამ ადამიანებს. როგორც ვხედავთ, ამაზე შესაბამისი რეაგირება რომ არ მოხდა, ახლა უკვე ოცდაათ ლარამდე ავიდა მათი მომსახურება.

**— უფრო კარგს გეტყვით, სანამ თქვენ საუბრობდით, გამახსენდა, რომ „ნაციონალების" დროს კორპუსის მმართველთან, თუ კოორდინატორთან მოდიოდნენ ე.წ. სადეზინფექციო სამსახურის ხალხი, რომლებიც ლარს იღებდნენ თითო ოჯახიდან და რაღაც ხსნარს ასხამდნენ სადარბაზოში, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა.**

– კი, ბატონო, ეს იყო ასევე კარგად ორგანიზებული ჯგუფი და გეტყვით, რასაც ასხამდნენ, რადგანაც ჩვენ გასულ წელს ავიღეთ სინჯები და გავარკვიეთ, რომ 99% ამ ხსნარისა იყო ონკანის წყალი, და წყალი, მოგეხსენებათ, ვერც თაგვებს გაანადგურებს და ვერც ტარაკნებს, ამ დროს ამ ადამიანებს რაღაც სპეცფორმისმაგვარი ეცვათ, გვერდზე ეკიდათ მოსაწამლი აპარატი, რომელიც 30 ლარი ღირს და ვითომ ხელშეკრულების ფორმატში, ერთი ცალი ბუკლეტი ეკავათ ხელში. იხდიდნენ ამ ფულს და წარმოიდგინეთ, კორპუსში 70-100 ოჯახი ცხოვრობს და ცუდი ფულია? ვარკეთილში ჩვენ გვქონდა გასულ წელს შემთხვევა, როცა ასაკოვანმა ქალბატონმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ ანალოგიურად ფული გამომართვეს, მწერების საწინააღმდეგოდ მომემსახურნენ და ტარაკნებმა ისევ დაიწყეს მეორე დღეს სირბილიო. თქვენ წარმოიდგინეთ, იქ მისული ეს ვითომ დეზინფექციის ჩამტარებლები ისეთი უნამუსოები აღმოჩნდნენ, რომ ერთი თვის შემდეგ ისევ მისულან იმ კორპუსში ხელახლა ფულის ასაკრებად და ქალმა გვითხრა, რომ ვუსაყვედურე, მითხრეს, ხელახლა შევწამლავთ სადარბაზოსო. მეზობლებისთვის უთქვამს ამ ქალს, ნუ ვაძლევთ ფულს, ხომ ხედავთ, არ შველის ეს ხსნარიო და მეზობლებმა დამცინეს, ლარი რა ფულიაო და კიდევ გადაუხადესო.

ვინც არ არის ინფორმირებული და ბიზნესი ისედაც მძიმედ მისდის, დაკეტავს დღეს ხვალ თავის საწარმოს, რადგანაც მას თურმე კიდევ ექვსი თვის მანძილზე სისტემატურად აქვს ფული ვიღაცისთვის გადასახდელი. ვინც ეს ხელშეკრულება მოგვიტანა, ის გვიცნობდა შორიდან და მოგვაწოდა ეს ინფორმაცია და ვინც არ გვიცნობს, მათ რა ქნან? ამ დროს დაახლოებით 600 000 ინდმეწარმეა თბილისში და დაითვალეთ, რამდენი გამოუვათ ამათ ჯიბეში ფულის ჩადება? ამას უნდა შევებრძოლოთ. თუმცა, რაც მოგიყევით, იქიდანაც ჩანს, რომ საზოგადოება ერთგვარად უგულებელყოფს ასეთი სახის ინფორმაციას: თუ ქალბატონმა შეამჩნია ყალთაბანდობა და ვიღაც ვახტანგი და ირაკლი მაინც იხდის იმ გადასახადს და სამართლის მაძიებელს კი ინტრიგანი ჰქვია, ამ დროს ფორმატს მორგებული შპს-ები ვითარდებიან.

**— თქვენი ინფორმაციით, რამდენი მსგავსი შპს არის უკვე შექმნილი თბილისში?**

– როგორც ვიცით, დაახლოებით შვიდი, რომლებიც აბსოლუტურად ერთსა და იმავე ფორმატში მუშაობენ და ყველაზე მეტი ამ ორგანიზაციებში 6-7 ადამიანია თანამშრომელი, ზოგან სულაც 2.

**— ნუთუ არც ერთ მეწარმეს არ გაუჩნდა აზრი, რომ გაეყარა ეს ხალხი და ეთქვა, არ გიხდით ამ ფულს და სადაც გინდათ, მიჩივლეთო...**

– არა და ესეც გასაგებია, რატომ. მაგრამ მანდ საინტერესო კიდევ ისაა, რომ ხელშეკრულებაში გადასახდელი ფასი არ არის მითითებული და არც ჩეკია ამორტყმული, მაგრამ ხაზგასმით არის მიწერილი, ხელშეკრულება ფორმდება ექვსი თვის ვადით.

**ამის შემდეგ დავუკავშირდით სურსათის უვნებლობის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს გიგა ქურდოვანიძეს, თუ სმენია მსგავსი შპს-ების ქმედების შესახებ?**

– სხვათა შორის, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც მიდიან ობიექტებზე და ეუბნებიან, რომ უნდა შეგამოწმოთო, მინდა გავაფრთხილო ყველა ბიზნესოპერატორი, რომ შემოწმების უფლება აქვს მხოლოდ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, სხვა არავის, არც არასამთავრობო ორგანიზაციას და არც შპს-ს. დეზინფექციას ატარებენ კერძო ფირმები, მაგრამ ეს არის თავად ობიექტის მეპატრონის მოთხოვნის საფუძველზე. და კიდევ, თუ ასეთი ადამიანები ჩათვლიან, რომ შანტაჟის მსხვერპლი გახდნენ, მაშინ მიმართონ შესაბამის ორგანოებს, ჩვენთან მსგავსი სიგნალები მოდის, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, რადგანაც ხელშეკრულება იდება ორ სუბიექტს შორის და ჩვენ რა ვქნათ? მეტსაც გეტყვით, მეწარმეებს ეუბნებიან, თუ არ გინდათ თქვენი დარღვევები გამომჟღავნდეს, ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანდითო და საწევრო გადაიხადეთო. ანუ, მეწარმეები უნდა იყვნენ ყურადღებით და ვიმეორებ, თუ დაზარალდნენ, მიმართონ შესაბამისს ორგანოებს.

**ამის შემდეგ უკვე დავუკავშირდით „სუფთა სამყაროს" დირექტორს ვახტანგ ტურაშვილს, გვაინტერესებს, აქვს თუ არა მას კანონით ობიექტის შემოწმების უფლება:**

– შეთავაზების უფლება გვაქვს, მაგრამ ის, რომ ვაიძულოთ, ამის უფლება არ გვაქვს. სახელმწიფოს ეს სამსახური გაუქმებული აქვს და ძალიან ბევრი შპს არის ასეთი, რომელიც ემსახურება.

**— ბურჯანაძე ამბობს, რომ ამ გზით ხდება თანხის გამოძალვა.**

– ეს ნებაყოფლობითია და არც ერთ ჩვენს თანამშრომელს არ უთქვამს, რომ დაგაჯარიმებთო.

**— ხელშეკრულებაში რატომ არ არის თანხა მინიშნებული და რატომ არ არის ჩეკი ამორტყმული, როცა ინდმეწარმემ გადაგიხადათ თანხა (აქ წყდება სატელეფონო საუბარი. ცოტა ხნის შემდეგ)?**

– გავარკვევ, მივალ სამსახურში და გავარკვევ.

**(აღარავინ დაგვკავშირებია)**

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მასწავლებლები გაფიცვებს იწყებენ



უახლოეს დღეებში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ინიციატივით, საჯარო სკოლების პედაგოგები საპროტესტო, გამაფრთხილებელ აქციებს გამართავენ. პედაგოგები მთავრობის მიერ 3 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, საბაზო ხელფასი იზრდება მხოლოდ 50 ლარით, დანარჩენი ხელფასების მატება დაკავშირებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის პროექტის" მოთხოვნებთან, რომელიც ჯერ არ დამტკიცებულა.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარის, მაია კობახიძის განცხადებით, გაუგებარია, რატომ იზრდება პედაგოგის საბაზო ხელფასი, სიმბოლურად 50 ლარით 2015 წლის სექტემბრიდან, მაშინ როდესაც საბიუჯეტო წელი იწყება 1-ლი იანვრიდან. გარდა ამისა, მისი თქმით, პროფკავშირები ეწინააღმდეგება პედაგოგის შრომის ანაზღაურების გაზრდის მიზმას კატეგორიებს შორის განსხვავებებზე. კობახიძე განმარტავს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა უნდა გაიმიჯნოს პედაგოგთა კატეგორიების მიხედვით სახელფასო განსხვავებისგან და საბაზო განმავლობაში გაიზარდოს ყველა პედაგოგისთვის.

„ჩვენ გვყავს 1000-ლარიანი პედაგოგები, რომლებიც პედაგოგთა საზოგადოების 1 პროცენტიც კი არ არის. როდესაც სერტიფიცირებულ მასწავლებელს მიეცემა 75-ლარიანი დანამატი და დღეს ასეთი მასწავლებელი ქვეყანაში მხოლოდ 20 000-ია, დანარჩენი 42 000 პედაგოგის სოციალური პირობები ამით ვერ გაუმჯობესდება". – აცხადებს კობახიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ერისიონის" მთავარი ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე გარდაიცვალა



77 წლის ასაკში გარდაიცვალა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, „ერისიონის" მთავარი ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე.

რევაზ ჭოხონელიძე იყო საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის, რუსთაველის პრემიისა და მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი. (ნიუპოსტი)

„ალია" მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რას აპირებენ სასულიერო პირები 15 ნოემბერს?



არქიმანდრიტი ანთიმოზი (ბიჩინაშვილი), რომელიც მთელმა საქართველომ 17 მაისის მოვლენებიდან გაიცნო „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე განცხადებას ავრცელებს: „კიდევ ერთხელ 17 მაისი. ეს გინების კადრები მერამდენედ უნდა დამიდოთ შეკითხვებით: ეს შენ ხარ, ეს შენ ხარ? გამოძიებამ ვერ დაადგინა, ეს კადრები ფარულად ვინ გადამიღო. ერთი ცოცხალი მოწმეც ვერ იპოვეს, ჩემი გინება რომ დაედასტურებინა. გამოძიებას ვთხოვდი, გაეგოთ, ფარულად ვინ გადამიღო. იჩივლეო და მერე მოვძებნითო. ეხლა ჩივილიც დამაწყებინეთ-მეთქი. თუ ესე ძალიან გინდათ ჩემი გინება, ყველანი თავისუფლების მოედანზე შექუჩდით და მე სახალხოდ, ხევსურულ-მთიულურად, მამაპაპურად შეგაგინებთ! ბიჯო, არ წაიღეს ტვინი!" — წერს მამა ანთიმოზი.

**— მამა ანთიმოზ, რატომ დაგჭირდათ ამ განცხადების გაკეთება, ასე რამ გაგაცხარათ?**

– 17 მაისის შემდეგ 2 წელიწადი გავიდა და რაც სასამართლოზე მოხდა, გამოძიებამ დაადასტურა, აბსოლუტურად სხვანაირად გამოჩნდა ჩემი ქმედება. ამბობდნენ, თურმე ხალხს ვემუქრებოდი და დასახოცად მივდევდი, არადა, პირიქით იყო, პოლიციას ვეხმარებოდი და ვცდილობდი, ბავშვები მშვიდობიანად გასულიყვნენ თავისუფლების მოედნიდან. რაც შეეხება გინების კადრებს, ამ გავრცელებულ კადრებს ფარულად მიღებდნენ და რომ მივდიოდი, ისმოდა გინება, ჩემი ზურგი ჩანს და ისმის გინება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმის გამო, რომ ვითხოვდი იმ ადამიანის მოძებნას, ვინც ეს გააკეთა, გამომძიებელმა მითხრა, თუ გინდა, იჩივლეო, ჩვენ არ გვაქვს უფლებაო და ამ ჩივილის შემდეგ შეგვიძლია საქმის აღძვრა მასზე, ვინც გადაიღო ეს კადრებიო. 2 წელია, ვეძებ ამ კადრების ავტორს. ჩემი უფლებები არ ირღვევა, 2 წელი რომ ვისმენ და ვითმენ ამ გინებას? 2 წელია, არ მორჩა და არ დასრულდა ეს კამპანია.

**— რა მიზანი აქვთ, მწყობრიდან უნდათ, გამოგიყვანონ, რომ მერე საჯაროდ გამოიტანონ განსახილველად თქვენი ნათქვამი?**

– დიახ, ჩემი გამოწვევა უნდათ. ისეთ შეურაცხყოფებს წერენ ჩემზე და მაგინებენ, ხან პედოფილს მიწოდებდნენ და ვიტანდი ამ ყველაფერს. პირადად მწერდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს. მე კი ყველას ვეფერებოდი და ვარწმუნებდი, რომ ისე არ იყო, როგორც მხატავდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ 17 მაისს პროვოკაცია მზადდებოდა და ყველანაირად ვცდილობდით მის თავიდან არიდებას, აბსოლუტურად სხვა ქმედება იყო ჩემი მხრიდან, ვზრუნავდი, არავინ ეცემათ, არავინ მოეკლათ და დავრბოდი გიჟივით, არ მინდოდა რამე მომხდარიყო.

**— „პოსტში" წერთ, თუ ასე გინდათ ჩემი გინება, შეგროვდითო. ამასაც, ალბათ, ხელზე დაიხვევენ...**

– ეს იყო ხუმრობა, რომელიც დაახლოებით ისე გავაჟღერე, როგორც ფილმ „რეკორდშია". ამიტომ ვთქვი, თუ ასე გულით უნდათ, ბოლოს და ბოლოს, შევაგინებ-მეთქი. ეს იყო ხუმრობა, დამიჯერეთ, არანაირი გაბოროტება არ მქონია და არც მდგომარეობიდან გამოვსულვარ. უბრალოდ, ძალიან დავიღალე.

**— მამაო, იცით, რომ 15-ში „ნაციონალების" აქციაა დაგეგმილი და უკვე გაჟღერდა, რომ იქნება კონტრაქციაც. ვრცელდება ინფორმაციები, რომ სერიოზული დაპირისპირება მოხდება, მაგრამ ამ ყველაფერს ზერელედ უყურებს ხელისუფლება. ეს სწორია?**

– მე არ მინდა პოლიტიკური განცხადების გაკეთება, მაგრამ როგორც სასულიერო პირი, ვიტყვი, რომ ეს არის ოპოზიცია, რაც ერი ვართ, ისეთი ოპოზიცია გვყავს, ეს არის ჩვენი სახე. ყველას აქვს უფლება, გამოვიდეს და ღვთის მადლით, თუ მშვიდობიანად ჩაივლის ყველაფერი, ეს იქნება კარგი. მეც გავიგე რაღაცები. შეიძლება მოხდეს დაპირისპირება, რადგან იქ ორი დაპირისპირებული მხარე იქნება, წავა გინება და ჩხუბი, ამის გამორიცხვა არ შეიძლება. თუ ეს საყოველთაო ჩხუბში გადაიზრდება, პოლიციამ დროულად უნდა აღკვეთოს იგი, რადგან ამის გართულება და გადაზრდა სხვა რამეში სახიფათო იქნება.

**— სასულიერო პირები ხომ არ გეგმავთ იქ მისვლას?**

– სასულიერო პირების გამოჩენა იქ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ჩვენთვის სიძულვილის ენა მიუღებელია, ჩვენ ყველას ვუყურებთ, როგორც საქართველოს შვილებს, არ არის სწორი, ვიღაც გვიყვარდეს და ვიღაც – არა. ეკლესია ყველასია და ის ცოდვილებისთვისაა, არ შეიძლება ისინი გავარჩიოთ.

**— არ გგონიათ, რომ ახლა დუმილი თქვენი მხრიდან გაუმართლებელია და როგორც სასულიერო პირებს, მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებათ? ხელისუფლებას არ აინტერესებს, თქვენც განზე დგებით და ვის იმედად იყოს ხალხი?**

– რა გითხრათ, გადაჭარბებული მგონია ეს მოლოდინი, გაბუქებულია. პოლიცია იმისთვისაა, რომ დაიცვას წესრიგი, ყველა დამნაშავე დაისაჯოს, ესაა გამოსავალი. სასულიერო პირმა იქ რა ქნას? მე მრევლში მყავს „ნაციონალებიც" და „ოცნების" მომხრეებიც, მაგრამ ეს არის პოლიტიკური აქცია, ოპოზიცია ატარებს ამ აქციას და ეს არის პოლიციის საქმე.

**— სასტიკი რეჟიმი გამოვიარეთ, ხალხისთვის სამართლიანობა არ აღდგა, რას მოიმოქმედებენ „ნაციონალებისგან" რეპრესირებული ადამიანები, არავინ იცის და რატომ მიგაჩნიათ, რომ ეს სასულიერო პირების საქმე არაა?**

– საპატრიარქო გააკეთებს განცხადებას, დარწმუნებული ვარ.

**— ამ ყველაფრის პარალელურად დიდი შეტევა მიდის პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ. ასეთ სიტუაციაშიც კი არ არის საპატრიარქო კატეგორიული. რატომ?**

– ეს არის საძაგელი პროპაგანდა ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც ყველამ კარგად იცის, ვის მიერაა მართული. ინტერნეტსივრცე წაიღო პატრიარქის გინებამ. უბრალოდ, მასა ადამიანებისა, რომელთაც არ აქვთ ეკლესიასთან კავშირი, ამას ადვილად იჯერებს. ეს ბინძური კამპანია მიმართულია იქითკენ, რომ ეკლესია დააკნინონ. ამას წერტილი უნდა დაესვას და ვინმე უნდა დაისაჯოს, თორემ ეს პროცესი სხვა რამეში გადაიზრდება. ჰომოსექსუალის შეურაცხყოფა ისჯება და პატრიარქის – არა?

ეს არის ანტიქრისტეს იდეოლოგია, რომელსაც ამკვიდრებენ საქართველოში. დაინტერესება არის ფულადი, რა თქმა უნდა. ვინც ამას ამკვიდრებს, მხოლოდ ქრისტეს კი არ ებრძვის, არამედ სამშობლოსაც. სულს ყიდიან საკუთარი კეთილდღეობისა და ეგოიზმის გამო. ზნეობა და ადამიანობა გაყიდეს ადამიანებმა ეშმაკზე. ქრისტიანული ზნეობა ქრისტიანულ მორალზეა დაფუძნებული. მეორეც არის, რომ ეშმაკს სიყვარული აღარ უნდა აუხსნა, მასთან სხვანაირად უნდა მოიქცე.

**— მერე „სხვანაირად" რატომ არ იქცევით?**

– რა გითხრათ, სხვა გზაა მოსაფიქრებელი. პირადად, სულ ვცდილობ, რამე გავაკეთო და სხვაზე ვერ ვისაუბრებ. მჯერა, რომ ანტიქრისტე საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს, ეს არის გადმოცემა, თუ არ ებრძოლე და თავი არ შეაკალი, დაიდგამს, აბა, რას იზამს?

**— პატრიარქის ინტერვიუც კი გახდა სამსჯელო. რუსეთისთვის ჩვენი პატრიარქი ყოველთვის დიდი ავტორიტეტი იყო, ამჯერად რუსეთის სახელმწიფო გაზეთში მისი ნათქვამი დაამახინჯეს. რა ხდება, შეტევა მათ პატრიარქზეც დაიწყეს?**

– არა მგონია. საქმე ისაა, რომ 9-წლიანი იდეოლოგია იყო, რუსეთი შეგვეძულებინა. რა მივიღეთ ამით, რა მოვიგეთ? თუ რუსეთი არ გძულს, საქართველოს მტერი ხარო. არადა, ქრისტიანობა ხომ სიყვარულზეა დაფუძნებული, თუ ძლიერად შევიძულებთ რუსეთს, ამით აფხაზეთს და სამაჩაბლოს დავიბრუნებთ? ხიდის ჩამტვრევას ცდილობენ და მერე მისი აღდგენა რთული იქნება. ყველას ვეუბნები, რომ არ უნდა გვძულდეს, სიყვარულით უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან. ადამიანის სიძულვილი არ შეიძლება, არც სახელმწიფოსი. ერის შეძულება, თანაც მართლმადიდებლის, ეშმაკის დაგეგმილია.

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია პარლამენტსა და მთავრობას ოფიციალურ მიმართვას გაუგზავნის



პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის დავით პატარაიას განცხადებით, ადმინისტრაცია, გიორგი მარგველაშვილის განცხადების შესაბამისად, მიმართავს პარლამენტს, რომ უახლოეს პლენარულ სხდომაზე პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ჩანიშნოს. მისი განმარტებით, კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, პრეზიდენტი უფლებამოსილია, ხალხსა და პარლამენტს მიმართოს.

„უახლოეს დღეებში ოფიციალურად პარლამენტს თხოვნით მივმართავთ, რომ რომელიმე პლენარული სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული იქნას პარლამენტისადმი პრეზიდენტის მიმართვა. საუბარი არ არის ყოველწლიურ მოხსენებაზე. მისი პროცედურები რეგულირდება და როგორც წესი, წელიწადში ერთხელ საგაზაფხულო სესიის დაწყების დროს ხდება. გიორგი მარგველაშვილის მიერ მოთხოვნილი მიმართვა წარმოადგენს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებას. შესაძლოა, ეს უფლებამოსილებები პარლამენტის რეგლამენტში პირდაპირ არაა გაწერილი, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს ბიურო ის ორგანოა, რომელიც პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და ნებისმიერი საკითხის დღის წესრიგში ჩასმას წყვეტს", – განაცხადა პატარაიამ.

მისივე თქმით, მოთხოვნა გაეგზავნება მთავრობის ადმინისტრაციასაც. ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტი უფლებამოსილია, მთავრობას თხოვნით მიმართოს, რომ სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული იქნას ცალკეული საკითხი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## რუბლი მორიგ სარეკორდო მაჩვენებელზე დაეცა

რუსული რუბლის კურსი კიდევ შემცირდა და დოლართან და ევროსთან მიმართებაში მორიგ სარეკორდო მაჩვენებელზე დაეცა. 6 ნოემბერს მოსკოვის ბირჟაზე დოლარი 45,36 რუბლი ღირდა, ევრო – 56,77 რუბლი.

ექსპერტების განმარტებით, რუსეთის ვალუტაზე ზეწოლის მთავარ მიზეზებად მსოფლიოში ნავთობის ფასის შემცირება და გეოპოლიტიკური ფაქტორები რჩება. პირველ რიგში, რუსეთის ქმედებები უკრაინასთან მიმართებაში. (ნიუპოსტი)

## სამცხე-ჯავახეთში 7 არარეგისტრირებული სახერხი დალუქეს



ხე-ტყის უკანონო ჭრისა და გადამუშავების გამოვლენის მიზნით, ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პრევენციული ღონისძიება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განახორციელეს. კერძოდ, აღმოჩენილი იქნა 7 დაურეგისტრირებელი სახერხი და 30 მ3 უკანონო ხე-ტყე. შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, ჩამორთმეულ იქნა უკანონოდ მოპოვებული მერქნული რესურსი. მასალები გადაგზავნილია შესაბამის რაიონულ სასამართლოებში. (ნიუპოსტი)

## რა ხდება სოფო შევარდნაძესა და „სავაშს“ შორის — ფოტოები ჟურნალისტის „ინსტაგრამიდან“



ჟურნალისტი სოფო შევარდნაძე „ინსტაგრამის“ პირად გვერდზე თურქ მსახიობ მურატ ილდირიმთან ერთად გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს. შეგახსენებთ, სოფო და მურატი 4 ნოემბერს ტელეშოუ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის წევრები იყვნენ.



4 ნოემბერს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მორიგი ეპიზოდი გავიდა, სადაც ჟიურიში სპეციალურ სტუმრად თურქი მურატ ილდირიმი იყო მიწვეული.

შოუ პროფესიონალმა მოცეკვავეებმა გახსნეს, რის შემდეგაც სცენაზე ჟიურის წევრები: გოჩა ჩერტკოევი, სოფო შევარდნაძე, მურატ ილდირიმი გამოვიდნენ და ერთად იცეკვეს. ცეკვის დასასრულს მურატმა სოფოს აკოცა.

მოგვიანებით, ნოდიკო ტატიშვილის და ჯულიანა ბარგნარის ცეკვის შეფასებისას, მურატს ნანკა კალატოზიშვილმა შეკითხვა დაუსვა, ვისთან ისურვებდა ის ცეკვას, შოუს მონაწილე რომ ყოფილიყო. თურქმა მსახიობმა აღიარა, რომ ის სოფო შევარდნაძესთან ისურვებდა ცეკვას და მასთან ვახშმობა გაიხსენა...

*newposts.ge; ambebi.ge*

## რობერტ სტურუა: „ნუთუ მოპარული ფულით შექმნილმა დამპალ მოჭადრაკეების პარტიამ უფსკრულიდან უნდა გადაგვჩეხოს“



რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– ძ რ ო ხ ა გაინაბა საქართველო... ოცდახუთი წლის მწარე გამოცდილებამ ვერ დააძინა – ნუთუ ისევ ომები, არეულობა, რიგები, უნიჭო პოლიტიკოსების ხოჭოებივით გამრავლება, უცხოეთში გადაბარგება?!

ის, რაც თუნდაც იტალიაში ნორმალურ პარლამენტურ ბრძოლას წარმოადგენს, შფოთიან და შურიან ქართველებში ნაღმად აღიქმება... მერე ის ავლაბრელი, გაკაპასებული დორბლიანი, გოშია ძაღლივით, რომ არ იცი საიდან გამოგიხტება და წვივებში გეცემა. მერე ვითომ თეთრი სახლიდან თავისი გერბიანი ტელეკედლით საქართველოს და ქართველებს აგინებს...

ნეტავ, არ შეიძლება საქართველოში საღმა აზრმა იზეიმოს და ნორმალურმა ადამიანებმა პარლამენტსა თუ სამინისტროებში ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის იზრუნონ?!

ნუთუ მოპარული ფულით შექმნილმა დამპალ მოჭადრაკეების პარტიამ უფსკრულიდან უნდა გადაგვჩეხოს – ნუთუ უტყვ ცხვრებად გვაქცია ნანატრმა თავისუფლებამ???

პ.ს. სხვათა შორის, მე გუშინ ვიქეიფე და ძალიან კარგად მეძინა! ალბათ, იმედის ნაპერწკალი მაინც ბჟუტავს ჩემს დაღლილ სულში... თუ გულში?.. თუ ტვინში? არ ვიცი, სად, მაგრამ ნამდვილად ბჟუტავს... და არ ჩამიქროთ... მუუუ! (ეს ძროხაა), – წერს რეჟისორი.

*ambebi.ge*

## „მეფე და ჩიტი“ — ნათია ფანჯიკიძის რეაქცია ღარიბაშვილის მიერ ალასანიას საჯაროდ შეურაცხყოფაზე



მიუხედავად ალასანიასა და ღარიბაშვილს შორის არსებული დაპირისპირებისა, ბევრისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა სიტყვები, რომლითაც პრემიერ-მინისტრმა დღეს თავდაცვის გადაყენებული მინისტრი მოიხსენია. მან პოსტიდან განთავისუფლებულ ალასანიას „ავანტიურისტი“, „უჭკუო“, „მოღალატე“ და „ამბიციური“ უწოდა.

აღნიშნულ განცხადებებს თავისებურად გამოეხმაურა ალასანიას მეუღლე, ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე, რომელიც „ფეისბუკზე“ ვახტანგ კახიძის „მეფე და ჩიტს“ აზიარებს და მოსაზრებას ასე აყალიბებს:

– მე რაღაცა მაქვსო... ადამიანებისა და ღირებულებების, იდეალების ეს ზეძვირფასი პირადი კოლექცია არ იყიდება, ზიარია ყველასთვის, ვისაც უხილავი სენსორები გვაერთიანებს. ერთიანი ცნობიერების სარტყელია, მზე და სიყვარული, მაშ! – წერს ფანჯიკიძე.

*ambebi.ge*

## „მომწონს პრემიერის მოოქროვილი საათი“ — ღარიბაშვილის საათი მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში შედის?



ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი, რომელიც არასდროს მორიდებია და არც ერიდება პოლიტიკური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას, ამჯერად ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილზე წერს. ტელეწამყვანის თქმით, საათი, რომელიც მას უკეთია, მოოქროვილია.

– მომწონს პრემიერ-მინისტრის საათი. ნეტა რა საათია?!

გავარკვიე, რაც არის:) მსოფლიოს ხუთეულში შედის.

მოოქროვილი ზედაპირი აქვს. მოკლედ უუუმაგრესი საათია, – წერს ტელეწამყვანი.

*ambebi.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი რთული არჩევანის წინაშე: „ყოველი სარკეში ჩახედვა იქნება უდიდესი სტრესი“



ნანუკა ჟორჟოლიანმა სიგარეტის მოწევას დაახლოებით ორი კვირის წინ დაანება თავი. ამის შესახებ „ფეისბუკზე“ სტატუსიც დაწერა და მეგობრების ქებაც დაიმსახურა. თუმცა დღეს ცნობილი ხდება, რომ ნანუკა რთული არჩევანის წინაშე დადგა.

– ძალიან რთული არჩევანის წინაშე ვდგავარ. სიგარეტი და წონა. ან უნდა მოვწიო, ან სულ ვჭამო. რესპუბლიკებისაც კი მშურს, არჩევანი იმდენად რთულია, – წერს ნანუკა.

მომღერალმა თეონა კონტრიძემ ნანუკას შემდეგი რჩევა მისცა.

– უნდა მოწიო! აგიხსნი რატომაც... არაფერი არ იწვევს თავის ისეთ დაჩმორებას და თვითგვემას, როგორც დაკლებული წონის უკან ალება! გადააგდებ სიგარეტს, დაიწყება უგზო-უკვლო ცმაცუნი რაღაც იდიოტობების... მერე წონის უდავოდ მომატება. ყოველი სარკეში ჩახედვა იქნება უდიდესი სტრესი, შენი თავი შეგეზიზღება, დაიწყებ საკუთარი თავის ცინიზმს და მთელი ფსიქო-სომატიკა იქნება ამ სადო-მაზოში ჩართული... ამიტომ მოწიე! ფილტვების დედაც ამ შემთხვევაში.

*reitingi.ge*

## რატომ და სად დადის შორენა ბეგაშვილი პირბადით

შორენა ბეგაშვილმა სახლი თავისი გემოვნებით გაარემონტა. სწორედ ამის გამო ელიავაზე სიარული, როგორც მსახიობისგან ირკვევა, ძალიან ხშირად უხდებოდა. ჰოდა, ხალხს რომ არ ეცნო და ზედმეტი ყურადღებით რომ არ შეეწუხებინა, ერთი მარტივი ხერხი მოიფიქრა და ელიავაზე პირბადით მივიდა.

შორენა ბეგაშვილი:

– განა ის რომ შორენა ბაზრობაზე დადის...



მე ხომ ბაზრობაზეც ვმუშაობდი რამდენიმე წელი... უბრალოდ, ბევრ დროს დავკარგავ – აბა, შვილო ფოტო გადაიღე, აბა, შვილო რა ხდება, ვანიკო როგორი ბიჭია... და ასე, უამრავი...

მარაო რუსთავი 2

## ია ფარულავას კომენტარი ჟურნალისტებს ქმართან დაშორებაზე



თბილისში ალაპარაკდნენ, ია ფარულავა და ტარიელ სუარი ისევ დაშორდნენ ერთმანეთს და წყვილი ამას საგულდაგულოდ მალავსო. არსებული ინფორმაციით ტარიელი ისევ ფრანკფურტში გაემგზავრა. ია ფარულავა კი, როგორც ვიცით, თბილისშია. მას რამდენიმე სატელევიზიო პროექტში ვხედავთ.



ტარიელ სუარმა საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდი დახურა. იას „ფეისბუკის“ გვერდიდან კი ტარიელ სუარის ფოტოები გაქრა.

ამასთან დაკავშირებით ია ფარულავას დავუკავშირდით:

– რა გამიხურეთ, დილიდან ამაზე მირეკავთ, ხალხნო, საიდან მოიტანეთ ეს ინფორმაცია?! ვიღაცამ შემოაგდო ინფორმაცია და ახლა მირეკავთ მეეე? ტყუილია! თუ დავშორდებით, პირველად ჩემგან გაიგებს ამას ხალხი, არ დავმალავ!..

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge









1. „მწვანე“ კონტინენტი
2. მან ღმერთებს ცეცხლი მოპარა (ბერძ.)
3. მუხლის თავის ძვალი
4. „კავკ. ცარცის წრე“ მოსამართლე
5. ძველი დოკუმენტების საცავი
6. მსახიობი … თაყაიშვილი
7. ამ ადამიანს არ აქვს პიგმენტი
8. იუდაიზმის მთავარი ღვთაება
9. გოგოლის პიესა
10. მსახიობი … დიტრიხი
11. მეფის მხლებლები
12. ჰოლმსი და … ვატსონი
13. რიგზი ფილმში „ტკბილი …“
14. ფიჭური, ანუ … ტელეფონი
15. ყურძნის ჯიში
16. მისი დედაქალაქია ვარშავა
17. ცხოველი პატარა ხორთუმით
18. მძივი მომლოცველის ხელში
19. მსახიობი … ბროსნანი
20. მეფის ვაჟი
21. ჩოგბურთელი ანდრე …
22. … ტოლსტოი
23. შხამიანი გველი
24. სატელეფონო სიტყვა
25. მსახიობი … პაჩინო
26. ნიშნავს სწავლებას
27. …-დე-ჟანეირო
28. დიდი ჩაქუჩი
29. მტაცებელი ცხოველი კატისებრ. ოჯახიდან
30. მწერალი … ფანჯიკიძე
31. ლოტბარი … ერქომაიშვილი
32. შვიდი დღე
33. არქიპელაგი გიგანტური კუებით
34. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
35. შხამიანი მწერი
36. მოტორიანი ნავი
37. რძის პროდუქტი
38. ვარდობისთვე
39. ტაო-…
40. „ალიბაბა და … ყაჩაღი“
41. მსახიობი … ჭანკვეტაძე
42. ცელქი, ანცი
43. საიზოლაციო მასალა
44. მხატვარი … გრეკო
45. მსახიობი ჩაკ …
46. მხარე დას. საქართ.
47. ნადირობა აფრიკაში
48. კაზინო
49. პულსის ადგილი ხელზე
50. მსახიობი ჯუდ …
51. დიუმა. „დედოფალი …“
52. მოდელიერი, ანუ …
53. „… შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდე-ბის“
54. რქებდახრილი ხარი
55. ნასესხები ფული
56. აშუღი პოეტი იეთიმ …
57. გემის კიდე
58. მსახიობი უაინონა …
59. ესპანელი მხატვარი
60. კონტინენტი
61. ფრედი მერკურის ანსამბლი
62. ორი ადამიანის საუბარი
63. ქიმიური ინდიკატორი
64. ფულის ერთეული პოლონეთში
65. ნორჩი, ახალშემოსული
66. მსახიობი ჯენიფერ …
67. ფოთლოვანი ხე
68. მთაგრეხილი
69. საკულტო კოშკი ბაბილონში
70. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
71. … მარჯანიშვილი
72. მსახიობი გოლდი …
73. გოია. „შიშველი …“
74. ოჯახი სოფლად
75. ნამარხი სპილო
76. თოკებით მოწნული საწოლი
77. ზღაპარი „… და ქოსატყუილა“
78. რეჟისორი კვენტინ …
79. ქალაქი გერმანიაში
80. სამრეწველო ზეთი
81. გულის მთავარი სისხლძარღვი
82. კუნძული შრი-…
83. გამადიდებელი ხელსაწყო
84. თევზის ჯიში
85. აკრძალვა გრიპის დროს
86. მსახიობი … არამოვი
87. ცხენოსნობა ჭოკის სროლით
88. მოგზაური … პოლო
89. მსახიობი … სმიტი
90. მდინარე პარიზში
91. პატარა ფრაზა სპექტაკლში
92. ზანდუკი
93. მუხის ნაყოფი
94. რძის პროდუქტი
95. თაღი
96. თეატრალური განცხადება
97. ვულკანის ყელი
98. …-ვეგასი
99. ნაპოლეონის დროინდ. ბრძოლა
100. დაიანა …
101. მწერალი … ჩუკოვსკი
102. ზღვა შუა აზიაში
103. რეჟისორი … პარკერი
104. მწერალი … როდარი
105. მხედველობის ორგანო
106. მოდელი კლაუდია …
107. მფრინავი, ანუ …
108. კომში
109. ყვავილი
110. პიპინის ძაღლი
111. ქალთა უფლებების დამცველი
112. რომის პაპის გვირგვინი
113. „ბითლზი“. ჯონ …
114. მუსიკალური ინსტრუმენტი
115. დათვის ნაშიერი
116. ემინემი როგორც მომღერალი
117. ჭრიჭინას ბებია (ფილმიდან)
118. მომღერალი … ბრეგვაძე
119. მდინარის დატოტვილი შესართავი
120. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
121. მკაცრი ცხოვრების მიმდევარი
122. ყელის ტკივილი
123. მწერალი … ლომოური
124. მსახიობი … ჟირარდო
125. ნამუსი
126. მომღერალი … კაასი
127. სახელმწიფო აფრიკაში
128. ქართ. ანბანის ბოლო ასო
129. ხეკაკუნა ფრინველი
130. მსახიობი … ჰეპბერნი
131. სამატომიანი ჟანგბადი
132. სპორტის სახეობა
133. რა დაკარგა კონკიამ
134. რუსი მწერალი მაქსიმ …
135. აქ გამოდის კლოუნი
136. მსოფლმხედველობა
137. გაშიშვლება მუსიკის თანხლებით
138. ყვავილი
139. ჯუჯა ცხენი
140. ბრედ პიტი ფილმში
141. რძის პროდუქტი
142. … პუგაჩოვა
143. იაპონური თეატრი
144. ფაიფურის ყურიანი ჭიქა
145. სომხური გვარის ნაწილაკი
146. ქალაქი რაჭაში
147. ნავსადგური
148. ფორტეპიანო
149. დიდი საჯარისო შენაერთი
150. მსახიობი ვივიენ …

პასუხები: 1. ავსტრალია; 2. პრომეთე; 3. კვირისტავი; 4. აზდაკი; 5. არქივი; 6. სესილია; 7. ალბინოსი; 8. იაჰვე; 9. „რევიზორი“; 10. მარლენ; 11. ამალა; 12. დოქტორი; 13. ნოემბერი; 14. მობილური; 15. რქაწითელი; 16. პოლონეთი; 17. ტაპირი; 18. კრიალოსანი; 19. პირს; 20. პრინცი; 21. აგასი; 22. ლევ; 23. ასპიტი; 24. ალო; 25. ალ; 26. ლოგია; 27. რიო; 28. ურო; 29. იაგუარი; 30. გურამ; 31. ანზორ; 32. კვირა; 33. გალაპაგოსი; 34. აგრა; 35. კრაზანა; 36. კატერი; 37. კარაქი; 38. მაისი; 39. კლარჯეთი; 40. ორმოცი; 41. ნინელი; 42. ცეტი; 43. ებონიტი; 44. ელ; 45. ნორისი; 46. იმერეთი; 47. საფარი; 48. სამორინე; 49. მაჯა; 50. კერი; 51. მარგო; 52. კუტიურიე; 53. კოკასა; 54. ლაბა; 55. ვალი; 56. გურჯი; 57. ბორტი; 58. რაიდერი; 59. მურილიო; 60. აზია; 61. „ქვინი“; 62. დიალოგი; 63. ლაკმუსი; 64. ზლოტი; 65. ქორფა; 66. ლოპესი; 67. მუხა; 68. ქედი; 69. ზიკურათი; 70. კვიპროსი; 71. კოტე; 72. ჰოუნი; 73. მახა; 74. კომლი; 75. მამონტი; 76. ჰამაკი; 77. ობოლი; 78. ტარანტინო; 79. დრეზდენი; 80. ოლიფა; 81. აორტა; 82. ლანკა; 83. მიკროსკოპი; 84. სვია; 85. კარანტინი; 86. ვლად; 87. ისინდი; 88. მარკო; 89. უილ; 90. სენა; 91. რეპლიკა; 92. სკივრი; 93. რკო; 94. არაჟანი; 95. არკა; 96. აფიშა; 97. კრატერი; 98. ლას; 99. ომი; 100. როსი; 101. კორნეი; 102. არალი; 103. ალან; 104. ჯანი; 105. თვალი; 106. შიფერი; 107. პილოტი; 108. ბია; 109. ვარდი; 110. პერი; 111. ფემინისტი; 112. ტიარა; 113. ლენონი; 114. აკორდეონი; 115. ბელი; 116. რეპერი; 117. ელპიტე; 118. ნანი; 119. დელტა; 120. რა; 121. ასკეტი; 122. ანგინა; 123. ნიკო; 124. ანი; 125. სინდისი; 126. პატრიცია; 127. მაროკო; 128. ჰაე; 129. კოდალა; 130. კეტრინ; 131. ოზონი; 132. კრივი; 133. ქოში; 134. გორკი; 135. ცირკი; 136. კრედო; 137. სტრიპტიზი; 138. ია; 139. პონი; 140. „ტროა“; 141. დო; 142. ალა; 143. ნო; 144. ფინჯანი; 145. ტერ; 146. ონი; 147. პორტი; 148. პიანინო; 149. არმია; 150. ლი. იკითხება: ბეჰემოთი. ფლამინგო. ზებრა.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ფოლად ... ოლლი
2. ბიზეს ოპერა
3. მხ/ფ „... მეზურნეები“
4. მსახიობი სოფი ...
5. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
6. კუდიანი ამფიბია
7. ჩრდილოეთის ირემი
8. ინდიელების ვარცხნილობა
9. მეტყველების ორგანო
10. მსახიობი ანა ...
11. კუტიურიე ... ასათიანი
12. ნაგებობა სვანეთში
13. ბუს მსგავსი ფრინველი
14. მომღერალი ... ჯოხაძე
15. ყვავილი
16. აიბოლიტის მტერი პირატი
17. მსახიობი ჯულიეტა ...
18. რძის პროდუქტი
19. მთამსვლელი, ანუ ...
20. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
21. ირანში: ... ჰომეინი
22. ადგილი, სადაც დავით სოსლანმა 1203წ-ს თურქსელჩუკებს სძლია
23. იტალიური ყველი
24. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი“
25. ის, ვინც კერძებს ამზადებს
26. ჩინური ფულის ერთეული
27. ქალაქი იტალიაში
28. მსახიობი კეტრინ ...-ჯონსი
29. მხ/ფ „მეცამეტე ...“
30. ქალაქი აშშ-ში
31. პარკი. დაარსა დუმბაძემ
32. გერმანული ავტომობილი
33. მსახიობი ... მიურეი
34. აჩრდილი
35. საბერძნეთის დედაქალაქი
36. მსახიობი მარჩელო ...
37. სახის ნაწილი
38. ბურატინოს მეგობარი
39. გამოუწვავი აგური
40. მომღერალი ... ვაიკულე
41. გამოკითხვა, ანუ ...
42. მხატვარი ანრი ...
43. ქალაქი ინგლისში
44. საკუთარი კარმიდამო
45. ქართ. საესტრადო ანსამბლი
46. მშვილდით სასროლი ჯოხი
47. ხარებთან ბრძოლა
48. შეზღუდული კვების რეჟიმი
49. კოლხი გრძნეული ქალი
50. მსახიობი ... იოჰანსონი
51. მხარე აღმ. საქართ.
52. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
53. ლობე
54. შინაური ცხოველი
55. ხილი
56. ფოლადის სადნობი ღუმელი
57. გასეირნება ქალაქგარეთ
58. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
59. მსახიობი ... სხირტლაძე
60. კვამლი
61. ძეხვეული
62. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
63. პორტუგალიის კუნძული
64. მსახიობი ... ოლდმენი
65. ბამბის თხელი ქსოვილი
66. ლერწმის მოსაჭრელი დანა
67. მხატვარი ამედეო ...
68. შემოტანილი საქონელი
69. კურორტი იტალიაში
70. ქალაქი ბელგიაში
71. მსახიობი ... მერფი
72. უფლება გამოგონებაზე
73. პოეტი ... გრანელი
74. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
75. „მატრიცა“ წინასწარმეტყველი
76. რაიმეს წარდგენა, ანუ ...
77. მსახიობი ვივიენ ...
78. მხ/ფ „... ზორბა“
79. მოცეკვავე ... სულაბერიძე
80. ჭინჭლა
81. ინფექციური დაავადება
82. იტალიის დედაქალაქი
83. მეხსიერების დაკარგვა
84. ბავშვის კბილი
85. ხის ჯიში
86. ადათწესების შესრულება
87. ორგანული ნივთიერება
88. მსოფლმხედველობა
89. ფეთქებადი ნივთიერება
90. მსახიობი ნიკოლ ...
91. უპირველესი საქმე
92. მხ/ფ „პროფესია ...“
93. კომპოზიტორი ... პაულსი
94. მსახიობი ჟან-ლუი ...
95. ტბა აფხაზეთში
96. აეროპორტი ქუთაისთან
97. მხატვარი ავთო ...
98. ავტორიტეტი, ნდობა
99. ვაჟიშვილი
100. ავიტამინოზის ფორმა
101. ანტილოპას სახეობა
102. მწნილი
103. სპორტის სახეობა
104. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
105. ხის სოლი
106. ლაშქარი
107. ყელის ტკივილი
108. მამითადი
109. ქიმიური ელემენტი
110. მსახიობი ჯუდ ...
111. სანელებელი
112. კვალიფიციური ხელოსანი
113. შტატი აშშ-ში
114. ქანდაკება პირამიდებთან
115. გეომეტრიული ფიგურა
116. ჟან რენო ფილმში
117. ხელის გული თითებიანად
118. სოფლის ტრანსპორტი
119. იტალიელი ფერმწერი
120. შტატი აშშ-ში
121. მსახიობი ... კრუზი
122. მაინას საპირისპირო ბრძანება
123. აბატი ფარიას ციხე
124. მიწის ფართობის ერთეული
125. მდინარე დას. საქართ.
126. სვე
127. მწერალი დენ ...
128. გასაშლელი ოთახი
129. მსახ. აიშვარია ...
130. მულტფილმი „... დამპაცადე“
131. მწერალი ... ჩუკოვსკი
132. ...-დე-ჟანეირო
133. სამხ. აფრიკის რესპუბ. ფული
134. მხ/ფ „... ტრეისი“
135. ვერცხლის ათცენტიანი
136. მსახიობი ... ბესინჯერი
137. იტალიელი კომპოზიტორი
138. მსახიობი ... ფაროუ
139. „... და მშვიდობა“
140. მსახიობი ჯეიმს ...
141. მხატვარი სალვადორ ...
142. ღმერთი სკანდინ. მითებში
143. ქალაქი საფრანგეთში
144. მეფის მხლებლები
145. მსახიობი ... პაჩინო

პასუხები: 1. ბულბულ; 2. „კარმენი“; 3. ბებერი; 4. ლორენი; 5. ანუბისი; 6. სალამანდრა; 10. მანიანი; 11. მაკა; 12. კოშკი; 13. ზარნაშო; 14. ანრი; 15. ჟასმინი; 16. ბარმალეი; 17. მაზინა; 18. დო; 19. ალპინისტი; 20. მირაჟი; 21. აიათოლა; 22. ბასიანი; 23. პარმეზანი; 24. ისაკიჩ; 25. მზარეული; 26. იუანი; 27. ნეაპოლი; 28. ზეტა; 29. მეომარი; 30. სიეტლი; 31. „მზიური“; 32. „მერსედესი“; 33. ბილ; 34. ავი; 35. ათენი; 36. მასტროიანი; 37. ყბა; 38. არლეკინი; 39. ალიზი; 40. ლაიმა; 41. პრაიმერი; 42. მატისი; 43. ბირმინჰემი; 44. მამული; 45. „რერო“; 46. ისარი; 47. კორიდა; 48. დიეტა; 49. მედეა; 50. სკარლეტ; 51. კახეთი; 52. იბისი; 53. მესერი; 54. თხა; 55. ატამი; 56. მარტენი; 57. პიკნიკი; 58. ბელიზი; 59. დუტა; 60. ბოლი; 61. სოსისი; 62. მათარა; 63. მადეირა; 64. ჰარი; 65. ჩითი; 66. მაჩეტე; 67. მოდილიანი; 68. იმპორტი; 69. რიმინი; 70. ლიმოჟი; 71. ედი; 72. პატენტი; 73. ტერენტი; 74. გალაპაგოსი; 75. პითია; 76. პრეზენტაცია; 77. ლი; 78. ბერძენი; 79. ფრიდონ; 80. მუმლი; 81. გრიპი; 82. რომი; 83. ამნეზია; 84. კიჟი; 85. ჭადარი; 86. რიტუალი; 87. გლიცერინი; 88. კრედო; 89. ნიტროგლიცერინი; 90. კიდმანი; 91. პრიორიტეტი; 92. რეპორტიორი; 93. რაიმონდ; 94. ტრენტინიანი; 95. რიწა; 96. კოპიტნარი; 97. ვარაზი; 98. პრესტიჟი; 99. ძე; 100. სურავანდი; 101. გნუ; 102. მარინადი; 103. კრივი; 104. აბო; 105. პალო; 106. სპა; 107. კატარი; 108. ნადი; 109. იოდი; 110. ლოუ; 111. მარილი; 112. ოსტატი; 113. ნევადა; 114. სფინქსი; 115. რომბი; 116. „რონინი“; 117. ნეზი; 118. ურემი; 119. ტიციანი; 120. ალაბამა; 121. ტომ; 122. ვირა; 123. იფი; 124. არი; 125. რიონი; 126. ბედი; 127. ბრაუნი; 128. კარავი; 129. რაი; 130. აბა; 131. კორნეი; 132. რიო; 133. რენდი; 134. დიკ; 135. დაიმი; 136. კიმ; 137. მასკანი; 138. მია; 139. ომი; 140. დინი; 141. დალი; 142. ოდინი; 143. კანი; 144. ამალა; 145. ალ. იკითხება: ბუმბული.

## ყველაზე უცნაური და საშინელი დაავადებები



– ცოცხალი გვამის სინდრომი – ადამიანები, რომლებიც ამ სინდრომით იტანჯებიან, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დარწმუნებულები არიან, რომ ისინი... მკვდრები არიან. ცოცხალი გვამის სინდრომი ადამიანს მუდმივად დეპრესიულ მდგომარეობაში ამყოფებს და ხშირად, თვითმკვლელობის ჩადენისკენ უბიძგებს, რაც, სამწუხაროდ, 70-80 პროცენტში ფატალურად სრულდება.

გარდა ამისა, ამ დაავადების დროს ადამიანს ეწყება ჰალუცინაციები, ხედავს მიცვალებულებს და გრძნობს გახრწნილი ხორცის სუნს...

– ვამპირის დაავადება – ეს დაავადება მზის ყველაზე სუსტი სხივების შემთხვევაშიც კი ადამიანს სხეულს უწვავს, ფარავს სითხით სავსე ბუშტუკებით.

ცნობილი ფაქტია, რომ, როგორც არაერთი ლეგენდა და ფილმი მოგვითხრობს, მზეზე გასვლისას სხეული ვამპირებს ეწვებათ და დაავადებასაც ასეთი უჩვეულო სახელი სწორედ ამიტომ დაერქვა.

– „მხტუნავი ფრანგის“ აშლილობა, ანუ გამძაფრებული რეფლექსია – ამ დაავადების ძირითადი ნიშანი რაღაც მოულოდნელის მიმართ საშინელი შიშის გრძნობის მოზღვავებაა. ამასთანავე, აღნიშნული სენით შეპყრობილი ადამიანი იწყებს ხტუნაობას, ყვირილს, ხელების ქნევას, ეცემა ძირს და მდგომარეობიდან გამოსვლას დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებს.

ეს დაავადება პირველად ამერიკაში მე-19 საუკუნეში დაფიქსირდა და ის ეროვნებით ფრანგ მამაკაცს აღმოაჩნდა. აქედან მოდის მისი სახელწოდებაც.

– ბლაშკოს ზოლები – დაავადება გამოიხატება მთელ სხეულზე გაჩენილი უჩვეულო ზოლებით. პირველად ის გერმანელმა დერმატოლოგმა 1901 წელს აღმოაჩინა და მისი ძირითადი სიმპტომია არასიმეტრიული მქრალი ზოლების გამოჩენა, რომლებიც ნელ-ნელა უფრო ხილვადი ხდება.

ანატომია დღემდე ვერაფრით ხსნის ბლაშკოს ზოლების გამომწვევ მიზეზებს. არსებობს მოსაზრება, თითქოს ეს დაავადება ადამიანის დეენემში უხსოვარ დროში „ჩაიდო“ და მემკვიდრეობით გადმოგვეცა.

– ალოტრიოფაგია – ხასიათდება მიდრეკილებით საკვებად უვარგისი ნივთების, საგნებისა და ნივთიერებების მიმართ.

ამ სენით შეპყრობილი ადამიანები ჩვეულებრივ საკვებზე უარს ამბობენ და ფაქტობრივად, ყველაფერს ჭამენ, რაც კი ხელში მოხვდებათ.

ექიმები ვერც ალოტიოფაგიის გამომწვევი მიზეზებს ადგენენ.

– ცისფერი კანის სინდრომი, ანუ აკანტოკერატოდერმია – ცისფერი კანის სინდრომით შეპყრობილი ადამიანების რამდენიმე ოჯახი ამერიკაში გასული საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა.

რა გახდა კანის ფერის შეცვლის მიზეზი, ვერავინ დაადგინა. მით უფრო,



რომ არც ერთ „ცისფერს“ სხვა დაავადებები არ აღენიშნებოდა და თითოეულმა მათგანმა 80 წლის ასაკს გადააბიჯა.

– ჰირსუტიზმი და ჰიპერტრიხოზი, ანუ მაქციას სინდრომი – სამწუხაროდ, ეს დაავადება ძალიან ხშირად იჩენს ხოლმე თავს მცირეწლოვან ბავშვებში, რომელთა მთელი სხეული, მათ შორის, სახეც, ხშირი და მუქი თმით იფარება.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, მაქციას სინდრომისგან განკურნება საკმაოდ რთულად, მაგრამ მაინც შეიძლება, თუმცა მის გამომწვევ მიზეზებზე ვერავინ ვერაფერს ამბობს.

– სპილოს დაავადება – ლიმფატიკური ფილარია – ეს დაავადება სხეულის სხვადასხვა ნაწილის განსაკუთრებული სიდიდით ხასიათდება. სპეციალისტები განმარტავენ, რომ სპილოს დაავადებას „ფილარიოიდეას“ პარაზიტი მატლები იწვევენ.

როგორც წესი, ეს მატლები ჩრდილოეთის ირმების ორგანიზმში ბინადრობენ, თუმცა რიგ შემთხვევებში, ადამიანებშიც ჩნდებიან. ხშირია ამ დაავადების გამოვლენის ფაქტები ტროპიკებშიც. მიზეზი კი ინფიცირებული მოსკიტია, რომელსაც გადააქვს კიდეც მატლები.

მთელ მსოფლიოში სპილოს დაავადებით დაახლოებით 120 მილიონი ადამიანი იტანჯება.

– პროგერია, ანუ გერჩინსონ-ჰილფორდის სინდრომი – ბავშვები, რომლებიც ამ დაავადების მსხვერპლი ხდებიან, 90 წლის ასაკის მოხუცებს ემსგავსებიან. მიზეზი – ადამიანის გენეტიკური კოდის დეფექტია და სამწუხაროდ, შედეგი დამღუპველი აქვს, რადგან პროგერიით შეპყრობილები როგორც წესი, 13 წლის ასაკს ვერ სცილდებიან – მათ ორგანიზმში დაბერების პროცესი ასტრონომიული სისწრაფით მიმდინარეობს.

მთელ მსოფლიოში პროგერიის სულ 48 შემთხვევაა დაფიქსირებული, მათ შორის ხუთი ერთსა და იმავე ოჯახში, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ის მემკვიდრეობით გადაიცემა.

***pronowosti.ru***

## ახალ ზელანდიაში ცხენის... სპერმას დააგემოვნებენ



ჩვენმა მტერმა და დამაწყევარმა გასინჯოს ცხენის სპერმაც და შარდიც, კაცო, რა ჯანდაბაა ეს?!

რა ჯანდაბაა, ჩემო ბატონო და ახალი ზელანდიის ქალაქ ჰოკიტიკაში უკვე 22-ე გასტრონომიული ფესტივალი ჩატარდება, რომელზეც როგორც უკვე ცნობილია, მთავარ ჰიტად სწორედ ცხენის სპერმა წარდგება.

უნდა ითქვას, რომ ჰოკიტიკას ყოველწლიური ველური სამზარეულოს ფესტივალი ცნობილია თავისი გასტრონომიული აღმოჩენებით.

როგორც ამბობენ, წლევანდელი კერძი-ჰიტი ცხენის სპერმა გახდება, რომელიც მათი თქმით, ვინც უკვე გასინჯა „დელიკატესი“, რაღაცით რძის კოქტეილს ჰგავს და ამასთანავე, ენერგეტიკული სასმელის თვისებებითაც გამოირჩევა.

ცხენის სპერმის გარდა, ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, დააგემოვნონ ხოჭოები, მუხლუხოები, ჭიები, მატლები და მოკლედ, ათასი სისაძაგლე.

***rokf.ru***

## დილის ყავა წელის ტკივილებს ბლოკავსო



ალბათ, ბევრს „დილით ხაში, ზედ ლავაში“ ურჩევნია, მაგრამ ეს ქართულ ქეიფთან შეჭიდების შემდეგ. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, დილაობით ყავის დალევა ყოფილა მისწრება იმისთვის, რომ ადამიანი წელის ტკივილებმა არ შეაწუხოს.

ნორვეგიელი სპეციალისტების თქმით, ერთი ფინჯანი ყავა (ხსნადი თუ ისეთი, ბოლოში რომ რჩება ხოლმე, არ ზუსტდება) ეფექტურად ახერხებს წელის ტკივილების გაყუჩებას. ოფისის თანამშრომლებისთვის და ასევე, ყველასთვის, ვინც კომპიუტერთან დიდ დროს ატარებს, საუზმეზე უკეთესი სასმელი არ არისო, ამასაც ამბობენ ნორვეგიელები.

ექსპერიმენტში 50 ადამიანი იყო ჩართული, ძირითადად, ოფისების თანამშრომლები. აღმოჩნდა, რომ დილაობით ყავის დალევის ჩვეულება მათ მართლაც დიდ დახმარებას უწევდა და რამდენიმესაათიანი ჯდომის მიუხედავად, ტკივილები, ფაქტობრივად, არ ჩნდებოდა.

– მას, ვინც ყავას არ სწყალობს, გაცილებით ხშირად და დიდხანს აწუხებს წელის ტკივილები, – ასეთია კვლევის ავტორების დასკვნა.

სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ხანია ცნობილია, რომ ყავა ასევე უმკლავდება ტკივილებს, რომელსაც ადამიანში ვარჯიში იწვევს. გამოდის, რომ ყავა შეიძლება კუნთების ტკივილის დროს შესანიშნავ ანესთეტიკად მივიჩნიოთ.

***myjane.ru***

## თევზის ქონი ბავშვებს კითხვის შესწავლაში ეხმარება



ბევრჯერ გაგვიგია ხოლმე უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან, სულ ძალით გვასხამდნენ პირში თევზის ქონს და ისეთი საზიზღარი გემო ჰქონდა, დღემდე არ გვავიწყდებაო.

საბედნიეროდ, ეს ძალიან სასარგებლო საშუალება დღეს უკვე ისე იწარმოება, რომ მის გემოს ვერავინ იგრძნობს.

ჰოდა, ახლა ვნახოთ, რას ამბობენ ოქსფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტები:

– თევზის ქონი ბავშვებს კითხვის შესწავლაში ეხმარება, – ამტკიცებენ ისინი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ ექსპერიმენტში 360 ბავშვი იყო ჩართული, რომელთა ასაკი 7-დან 9 წლამდე მერყეობდა. ბავშვები ორ ჯგუფად გაყვეს. 16 კვირის მანძილზე პირველ ჯგუფში შემავალი პატარები თევზის ქონს იღებდნენ, ხოლო მეორე ჯგუფის წევრები – პლაცებოს. ექსპერიმენტის დაწყებიდან სულ რაღაც 3 კვირაში ბავშვებმა, რომლებიც კითხვის მხრივ არ ბრწყინავდნენ, თავიანთ წარჩინებულ თანატოლებს დაეწივნენ. პლაცებოს ჯგუფში შემავალ მოზარდებში არავითარი წინსვლა არ გამოვლენილა.

უნდა ითქვას, რომ კითხვასთან უკეთ გამკლავების გარდა, ბავშვები უფრო დამჯერებიც გახდნენ, რაც ასევე თევზის ქონის სასარგებლო თვისებებს მიეწერა.

***doctor-dom.com***



## პოლონეთში ხელოვნური ფუტკრების შექმნაზე მუშაობენ

თუკი შეიძლება ხელოვნური იყოს ნაძვის ხე ან გნებავთ, თირკმლები და სისხლი, ვითომ, ფუტკრებს რა პეწი ურევიათ?

როგორც ირკვევა, პოლონელი მეცნიერები ხელოვნური ფუტკრების გამოყვანის პროექტის განხორციელებას შეუდგნენ.

არსებული ინფორმაციით, ხელოვნური ფუტკარები არაფრით განსხვავებულები არ იქნებიან თავიანთი ბუნებრივი მოძმეებისგან – ჩვეულებრივად მოახდენენ ყვავილების დამტვერვას და სხვადასხვა მცენარის გამოზრდაში ადამიანებს შეუფასებელ დახმარებას აღმოუჩენენ. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ხელოვნური ფუტკრები სრულად მართვადები იქნებიან.

ხელოვნური ფუტკრების პირველ გუნდს პოლონელი მეცნიერები უახლოეს 3 წელიწადში გამოიყვანენ. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბუნებრივი ფუტკრების ჩანაცვლებაზე არავინ ფიქრობს, თუნდაც ხელოვნურები უფრო ეფექტურები აღმოჩნდნენ.

***pronowosti.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– შეიძლება, შარდის ანალიზი გავაყალბო?

– კი, როგორ არა – წვენი ჩააბარე.

– ჰო, მერე კომისიისგან დასკვნა რომ მივიღო: „კოტე ხარხარაშვილი გამოუსადეგარია ჯარში მსახურობისთვის, ვინაიდან ის ფორთოხალია“...

*****

ბარმენი რესტორნის სტუმარ ჯენტლმენსა და მის თანმხლებ ქალს ემსახურება:

– რის შეკვეთას აპირებთ, ბატონო?

– რაიმე ეგზოტიკური, თუ შეიძლება.

– მმმ... ცოფიანი ძროხა?

– ვფიქრობ, ის სხვა რამეს მიირთმევს...

*****

მდივანი შეფის კაბინეტში შევიდა:

– შეფ, ერთ-ერთ თანამშრომელს თქვენთან ხელფასის მომატების საკითხზე საუბარი სურს.

– უთხარი, რომ არ ვარ.

– შეუძლებელია – დანამდვილებით იცის, რომ აქ ხართ!

– ვინ არის?

– მე!..

*****

– რატომ აქამდე არ შეირთე ცოლი?

– სიმართლე გითხრა, გამუდმებით შენს ცოლზე ვფიქრობ.

– რა, ბიჭო? შე ახვარო!

– მოიცა, სხვანაირად გაიგე – იმის მეშინია, მეც მისნაირი არ შემხვდეს...

*****

– გოგონი, ოდესმე თუ უთქვამს ვინმეს, რომ ძალიან ლამაზი ხართ?

– არა.

– ღმერთო ჩემო, ყველა როგორი გულახდილია!..

*****



ბიჭი გოგოს:

– ძალიან მინდა, შენი შინაგანი სამყარო რაც შეიძლება, ღრმად შევიცნო!

– წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მხოლოდ დაქორწინების შემდეგ!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მენსტრუალური ტკივილები ტვინზე უარყოფით გავლენას ახდენს



ახლა კი მივხვდით, რატომ ჭირვეულობენ და რატომ არიან სულ ნერვებზე მოშლილები მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ყოველი თვის კონკრეტულ დღეებში – ტაივანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მენსტრუალური ციკლისას, რომელიც ტკივილების თანხლებით მიმდინარეობს, ხდება თავის ტვინის სტრუქტურის ცვლილებები. ამასთანავე, ზოგჯერ აღნიშნულ პროცესს ტვინის ზოგიერთი ნაწილის იმდენად შეცვლა შეუძლია, რომ ტკივილების გაყუჩება ციკლის დასრულებასაც კი არ მოჰყვება.

ასეთი დასკვნა ტაივანელმა მეცნიერებმა რამდენიმე ასეული ქალის შემოწმების შედეგად გამოიტანეს. ექსპერიმენტის მონაწილეები მათ ორ ჯგუფად დაჰყვეს – პირველში შევიდნენ ჯანმრთელი, ხოლო მეორეში პერიოდული ტკივილების მქონე ქალები.

აღსანიშნავია, რომ ტკივილის თანმხლები მენსტრუაციის (დისმენორია) ბუნება შესწავლილი ბოლომდე დღემდე არ არის. ზოგ შემთხვევაში, დისმენორიას ანთებითი პროცესები იწვევს, თუმცა მედიცინისთვის არც ისეთი ფაქტებია უცხო, როცა ციკლს ხილული მიზეზები საერთოდაც არ ახლავს.

ტაივანელმა სწავლულებმა გადაწყვიტეს, ყურადღება ტვინისთვის იმიტომ მიეპყროთ, რომ ის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ადამიანის რეპროდუქციული სისტემის ჰორმონალურ რეგულაციაში.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქალს მენსტრუაციის დროს უდიდდება ჰიპოთალამუსი და ასევე, ჰიპოკამპი, რასაც ჩვეულებრივი ხშირი გაღიზიანება მოსდევს. დანარჩენებს მსგავსი რამ არ გამოუვლინდათ, თუმცა რატომ უნდა ხდებოდეს ასე, ჯერჯერობით კითხვაზე ამომწურავი პასუხი არ არსებობს.

*passion.ru*

## უცხო ენა თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილში ინახება



რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, ნათქვამია და ალბათ, მართალიც არის. ყოველ შემთხვევაში, კარიერული წინსვლისთვის რომ უცხო ენების ცოდნა აუცილებელია, ამაზე ხომ მაინც შევთანხმდებით?

მაინც, როგორ ახერხებს თავის ტვინი ერთდროულად რამდენიმე ენის შესახებ ინფორმაციის შენახვას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ებრაელ სწავლულებს 41 წლის მამაკაცი დაეხმარა, რომელიც რამდენიმე უცხო ენას ფლობდა და რომელმაც, სამწუხაროდ, ინსულტი გადაიტანა.

– თითოეულ სალაპარაკო ენას ადამიანის თავის ტვინი სხვადასხვა ნაწილში ინახავს და ისინი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოჰყავს მოქმედებაში, – განმარტავს ჰაიფას უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტი რაფიკ იბრაგიმი.

მისი ინფორმაციით, 41 წლის პაციენტმა, რომელიც რამდენიმე ენას ფლობდა, ინსულტი გადაიტანა, რის გამოც მას არაბული და ივრითი დაავიწყდა.

მკურნალობის პროცესში გაირკვა, რომ დაზიანებული იყო ტვინის რამდენიმე შრე, რომელთაგან ერთ-ერთი ინფორმაციას ივრითზე ინახავდა, მეორე კი – არაბულზე.

აღმოჩნდა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ერთი დაზიანებული შრის ნაწილები უფრო მალე აღდგა, ვიდრე დანარჩენები და შედეგად ის მოხდა, რომ ინსულტგადატანილმა პაციენტმა არაბული უპრობლემოდ გაიხსენა, ივრითის აღსადგენად კი გაცილებით მეტი დროს დასჭირდა და ვიდრე ტვინის კიდევ ერთი ნაწილის მუშაობა არ გაუმჯობესდა, ის დიდი გაჭირვებით მეტყველებდა.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**7 ნოემბერი:** შეეცადეთ, თქვენი სისუსტეები არავის დაანახოთ, ამით მავანნი ბოროტად ისარგებლებენ.

**კურო 22.04-21.05**
**7 ნოემბერი:** პრაქტიკული და მიზანმიმართული იქნებით, თუმცა უმჯობესია, დღეს საოჯახო საქმეებით დაკავდეთ, კმაყოფილი დარჩებით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**7 ნოემბერი:** ეს დღე აუჩქარებელი და აკურატული საქმეების კეთებისთვისაა განკუთვნილი. მართალია, საღამოს შრომის შედეგებს ვერ დაინახავთ, სამაგიეროდ, მეორე დღეს საამაყოდ გექნებათ საქმე.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**7 ნოემბერი:** შეიძლება საკუთარ სულიერ სიმშვიდესა და ჯანმრთელობას საფუძვლიანად ავნოთ. წინდახედულება გამოიჩინეთ, ამაში საკუთარი თავის მეტს ვერავის დაადანაშაულებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**7 ნოემბერი:** ურიგო არ იქნება, თუ დღეს არ გაჯიუტდებით და საკუთარი აზრის ვინმესთვის თავს მოხვევას არ დაიწყებთ. მაინც არავინ მოგისმენთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**7 ნოემბერი:** გააკეთეთ, რაც გინდათ, თუკი ეს ქმედება თქვენი ოჯახის ბიუჯეტზე არ აისახება. ამის გამო არავინ არ დაგძრახავთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**7 ნოემბერი:** მაქსიმალურად პატიოსანი უნდა იყოთ ყველაფერში და ყველას მიმართ, განსაკუთრებით, საკუთარი თავის.

**მორიელი 23.10-21.11**
**7 ნოემბერი:** ფრთხილად იყავით, როცა თქვენში დაგროვებული ენერგიის გამოშვებას დაიწყებთ. სანამ ამოიწურება, შეიძლება ბევრი სისულელე ჩაიდინოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**7 ნოემბერი:** განსხვავება თქვენსა და კაცობრიობის სხვა წარმომადგენლებს შორის, საკმაოდ თვალში საცემი იქნება. შეეცადეთ, ნეგატიურ მხარეს არ აღმოჩნდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**7 ნოემბერი:** ქცევის წესებზე მოგიწევთ დაფიქრება. ისეთი არაფერი ჩაიდინოთ და მოიმოქმედოთ, რომ ზედმეტი პრობლემები შეგექმნათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**7 ნოემბერი:** ყველანაირად შეიკავეთ თავი ზედმეტი სიჩქარისგან და აზარტის ცდუნებას არ აჰყვეთ. ერთმაც და მეორემაც შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგიყვანოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**7 ნოემბერი:** ბოლო ვადას უახლოვდებით. ჯერჯერობით, შეგიძლიათ არ იჩქაროთ, მაგრამ დრო აკონტროლეთ, დაგვიანება არაფერში გჭირდებათ.

## მეცნიერებმა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას მიაგნეს



როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ახალი აღმოჩენები, პირველ რიგში, ცხოველებზე იცდება ხოლმე და თუკი შედეგი დადებითია, ის უკვე ადამიანებზეც ვრცელდება.

ჰოდა, შესანიშნავი შედეგი მიუღიათ ამერიკელ მეცნიერებს თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ, რომელიც ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ხერხების აღმოჩენას ისახავდა მიზნად.

როგორც ირკვევა, ამერიკელებმა თავის ტვინის ერთ კონკრეტულ ნაწილში ცილების კონცენტრაცია გაზარდეს, რამაც ალკოჰოლის მიმართ მიზიდულობა მნიშვნელოვნად შეამცირა.

– ვვარაუდობთ, რომ ამ მეთოდით მკურნალობას უკვე უახლოეს მომავალში დავიწყებთ. რაც მთავარია, თავის ტვინში ცილების კონცენტრაციის გაზრდა სახიფათო არ არის და ამასთანავე, ყოვლად უმტკივნეულოა, – განმარტავენ ამერიკელი სწავლულები.

*tainamira.ru*

## ზაზუნა და გველი განუყრელ მეგობრებად იქცნენ



მიუხედავად იმისა, რომ საკმაოზე მეტად ხშირად დაფიქსირებულა შემთხვევა, როცა ძაღლი და კატა ან ერთმანეთისთვის სავსებით შეუთავსებელ ცხოველებს უპოვიათ საერთო ენა, ტოკიოს ერთ-ერთ ზოოპარკში მომხდარმა ფაქტმა მაინც ყველა მათგანი დაჩრდილა.

საქმე ისაა, რომ „მუცუროგო კოკუში“ ყველასთვიის მოულოდნელი რამ მოხდა: 9-სანტიმეტრიანი ჯუჯა ზაზუნა 120-სანტიმეტრიან გველს დაუმეგობრდა.

აღსანიშნავია, რომ ზოოპარკის თანამშრომლებმა ზაზუნა გველთან როგორც მისი სადილი, ისე ჩაუძახეს, თუმცა ამ უკანასკნელმა არავითარი აგრესია არ გამოიჩინა, საკვებზე უარი თქვა და აგერ უკვე ორი თვეა, რაც ისინი ერთად ცხოვრობენ და არც ეკონომიკური კრიზისი ანაღვლებთ და არც გლობალური დათბობის გამო გამოხატავენ თავიანთ შეშფოთებას.

– ზაზუნას ხუმრობით გოენა (ქართულად ითარგმნება, როგორც საკვები) დავარქვით, რადგან გვეგონა, რომ ეოჩანი (გველს ჰქვია ასე) მას სხვა დანარჩენებივით შეჭამდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და გოენა და ეოჩანი განუყრელ მეგობრებად იქცნენ, – განმარტავენ ტოკიოს ზოოპარკის მესვეურები.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ერთი მონადირე მეორეს:
– რაღაც ძალიან უცნაური ძაღლი მყავს – როცა ნადირს ვუმიზნებ, ძირსვარდება და კვდება ხოლმე სიცილით!
– და როცა არტყამ ნადირს, მაშინ რას შვრება?
– ჯერ არ ვიცი, 3 წელია, რაც მყავს, მეტი არა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია »211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.15